ნაციონალო დოქსოპულოებო!

იცით თუ არა, რომ თქვენი ყოფილი მაღალჩინოსნების ბრალი, გაეროს შეფასებით, კაცობრიობის წინაალმდეგ ჩადენილ სამხედრო დანაშაულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს!

იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბეჭთის გაფანა ყველა უკარისობაზე უსაბაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 2 აგვისტო, 2014 წელი.

№151 (7532)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„ადამიანის უფლებების დაცვისა და წამების მიმართულებით საქართველოში არის სერიოზული პროგრესი“

„გაეროს პირდაპირი რეკომენდაცია და მოწოდებაა, რომ მაქსიმალურად დაჩქარდეს წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი მძიმე დანაშაულების გამოძიების პროგრესი“ – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერი გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მეოთხე პერიოდულ ანგარიშს გამოეხმაურა.

ღარიბაშვილის თქმით, მართალია, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მეოთხე პერიოდული ანგარიში პირველად დასკვნას წარმოადგენს, მაგრამ ის საკმაოდ დამაფიქრებელია საქართველოს ხელისუფლებისთვის, რადგან საუბარია წარსულში ჩადენილი მძიმე დანაშაულების – ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოძიების მნიშვნელობაზე.

„გაეროს პირდაპირი რეკომენდაცია და მოწოდებაა, რომ მაქსიმალურად დაჩქარდეს წარსულში, წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი მძიმე დანაშაულების გამოძიების პროცესი. როგორც მათ პირველად დასკვნაშია აღნიშნული, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს. იქ საუბარია ისეთ მძიმე დანაშაულებზე, როგორიცაა ადამიანების წამება, ქონების დატაცება და მრავალი სხვა.

ეს არის მართლაც ყოველმხრივ დასაფიქრებელი ჩვენი მთავრობისთვის. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა პროცესი იყოს გამჭვირვალე.

პროცესი არის ღია და კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ჩვენი ქვეყნის პარტნიორი და მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს, დაინტერესების შემთხვევაში ჩაერთონ ამ პროცესში. მით უმეტეს, რომ საუბარია მძიმე დანაშაულების გამოძიებაზე და ჩვენ მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ პროცესების გამჭვირვალობას და გახსნილობას,“ – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, როგორც იტყვიან, ცივი წყალი გადაასხა ცხრაწლიანი უამრავი ცოდვით სულდამძიმებული ნაციონალების უსუსური თავის მართლების ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულ რიტორიკას!

„ოცნებამ“ ახლა უკვე რაც შეიძლება ჩქარი ტემპით უნდა დაიწყოს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა! ნაციონალების ხელისუფლების კრიჭაში დგომის მავნე პოლიტიკა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს!

დროა, სამართლიანობის სამართლიან და სწრაფ აღდგენას ასევე სწრაფად მოჰყვეს ახალი ხელისუფლების მხრიდან სიღარიბე-სიდუხჭირის დროული დაძლევისა და ხალხის დასაქმება-კეთილდღეობის უზრუნველყოფის გაბედული ნაბიჯები!

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი შეშფოთებულია 2008 წლის ომის დროს ადამიანის უფლებათა ფაქტების დარღვევის გამოძიების ნელი ტემპით

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი შეშფოთებულია 2008 წლის ომის დროს ან მის შემდეგ მომხდარი ადამიანის უფლებათა ფაქტების დარღვევის გამოძიების ნელი ტემპით.

აქ იგულისხმება ადამიანების გატაცების, მოქალაქეთა არაპროპორციული ძალით თავდასხმის, უკანონო დაკავებების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ქონების განადგურებისა და მითვისების ფაქტები, რაც შეიძლება წარმოადგენდეს სამხედრო და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს.

დოკუმენტის რეკომენდაციით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ბრალდება იძულებითი გაუჩინარების, მოსახლეობისა და სხვა დაცული პირების წინააღმდეგ, განურჩეველი და არაპროპორციული თავდასხმების, უკანონო დაკავებების, წამების და არაადამიანური მოპყრობის, ასევე ქონების დაზიანებისა და ჩამორთმევის ფაქტები დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად გამოიძიოს, რათა დამნაშავეები სახელმწიფოს იურისპრუდენციის ფარგლებში, მათ შორის კონკრეტული პიროვნებები ხელმძღვანელ პოზიციაზე პასუხისგებაში მიეცნენ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. დაზარალებულებს კი გაეწიოთ სათანადო დახმარება კომპენსაციის ჩათვლით.

კომიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებს სახელმწიფოს წინაშე მდგარ გამოწვევებს, რომლებიც მსხვერპლთათვის ანაზღაურების უზრუნველყოფას ეხება, შეშფოთებულია ათობით ათასი საჩივრის გამო, რომლითაც დატვირთულია პროკურატურა და რომელიც ეხება 2012 წლის არჩევნებამდე პერიოდს.

საქმეები ეხება არასამართლიან სასამართლოს, წამებას, არაადამიანურ მოპყრობას და ადამიანების უკანონო ექსპლუატაციას. ამავე დროს, კომიტეტი, აღიარებს რა კანონის უზენაესობის დაცვის, კორუფციასთან ბრძოლის, ადამიანის უფლებების დარღვევათა მსხვერპლთათვის შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველყოფის, ადამანის უფლებების დამრღვევთა დაუსჯელობის თავიდან აცილების აუცილებლობას, შეშფოთებულია იმით, რომ გამოძიებათა დიდმა რაოდენობამ, რომელიც წინა ხელისუფლების და დღევანდელი ოპოზიციის მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგაა დაწყებული, შესაძლოა, სამართლებრივი სისტემის პოლიტიკური შურისძიებისთვის გამოყენების აღქმა შექმნას“.

კომიტეტი ასევე უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ ისეთი გახმაურებული საქმეები, როგორიცაა 2006 წლის არეულობა თბილისის მეხუთე საპყრობილეში, გლდანის ციხეში პატიმრებთან არასათანადო მოპყრობა, სხვა ციხეებში მომხდარი დარღვევები, 7 ნოემბრისა და 26 მაისის აქციის დარბევის საკითხები ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოძიებული.

ხშირად წამების ფაქტებზე საქმეების აღძვრა ხდება უფლებამოსილების გადამეტების და არა წამების, ან არასათანადო და დამამცირებლად მოპყრობის მუხლებით.

◎ ალიანჩალიანი

რუსეთთან გვექნება ვაჭრობა ისე, როგორც სხვა ქვეყნებს აქვთ

რუსეთის მიერ საქართველოსთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების შეჩერების გადაწყვეტილების საკითხზე ზურაბ აბაშიძე გრიგორი კარასინს ტელეფონით ესაუბრა. ამის შესახებ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ ჟურნალისტებს გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

— საკითხი დგას ასე: იმ ქვეყნებისთვის, ვინც არიან საბაჟო კავშირში, რუსეთი ინარჩუნებს თავისუფალ სავაჭრო რეჟიმს, ხოლო ყველა სხვა ქვეყანასთან ექნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები და რეგულაციების მიხედვით ვაჭრობა. ასეთი მიდგომაა, ჩვენ არც საბაჟო კავშირში ვართ და არც დსთ-ში, ამიტომ რუსეთთან გვექნება ვაჭრობა ისე, როგორც ვაჭრობს ყველა სხვა, — აღნიშნა აბაშიძემ.

ამასთან, მისივე განმარტებით, კონსულტაციების საფუძველზე გაირკვევა, რა ვადაში ფიქრობს რუსეთი შეთანხმების შეწყვეტას.

რუსეთიდან შემოსული საქონელი საბაჟო გადასახადით დაიბეგრება

ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა რუსეთის მიერ საქართველოსთვის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეჩერების საკითხის კომენტირებისას განაცხადა.

— თავისთავად ცხადია ფაქტი იმის შესახებ, რომ რუსეთმა გადაწყვიტა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებიდან გასვლა, კარგი არ არის. თუმცა, ამავე დროს უნდა ვთქვა, რომ ეს არ არის ტრაგედია. ჩვენ რუსეთთან გადავდივართ იმავე სავაჭრო რეჟიმში, რა რეჟიმშიც დღეს ვვაჭრობთ ევროკავშირთან, ჩინეთთან და ბევრ სხვა სახელმწიფოსთან. ამავე დროს, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი გათვლებით რუსეთში საბაჟო გადასახადით ჩვენი პროდუქციის დაბეგვრამ არ უნდა გამოიწვიოს ამ პროდუქციის მნიშვნელოვანი გაძვირება და ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება. წლევანდელი მონაცემებით, ექსპორტის 80% არის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ღვინო და გამაგრილებელი სასმელები, 11% მადანი და ელექტროენერგია. ვფიქრობთ, რომ ზარალი არ იქნება და ამას დაემატება ის, რომ რუსეთიდან შემოსული საქონელი დაიბეგრება საბაჟო გადასახადით. საბოლოო ჯამში დამატებით, საქართველოს ბიუჯეტი მიიღებს დაახლოებით 15-20 მილიონ ლარს, — განაცხადა ხადურმა.

პარლამენტმა პრეზიდენტის შერჩეული მოსამართლეები არ დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ წარდგენილ კანდიდატებს მხარი არ დაუჭირა.

გიორგი მარგველაშვილმა კანონმდებლებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად ნინო ბაქაქურისა და ზურაბ ძლიერიშვილის კანდიდატურები წარუდგინა. მათ დასამტკიცებლად საჭირო იყო სულ მცირე 76 ხმა.

კენჭისყრის შედეგად ბაბაქურს მხარი 29 დეპუტატმა დაუჭირა, ხოლო ზურაბ ძლიერიშვილს — 27-მა.

ბაქაქურისა და ძლიერაშვილის კანდიდატურები კომიტეტებში მოწონებული იყო.

რაც შეეხებათ კანდიდატებს; ნინო ბაქაქურს აქვს იურისტად მუშაობის 16-წლიანი და მოსამართლედ მუშაობის სამწლიანი გამოცდილება. 1998—2004 წლებში მუშაობდა საქართველოს იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრის იურისტად და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიულ მრჩევლად. 2004—2008 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატისა და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლე. ნინო ბაქაქურმა იურიდიულ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი მიიღო ნიუიორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში. 2002-2003 წლებში იყო ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საერთაშორისო სამართლის მკვლევარი.

ზურაბ ძლიერიშვილი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია (სამართლის აკადემიური დოქტორი); არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი 2009 წლიდან დღემდე; თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის არბიტრი 2009 წლიდან დღემდე; სხვადასხვა იურიდიული კომპანიების კონსულტანტი 2001 წლიდან დღემდე; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრი 2004-2006 წლებში. აქვს ხანგრძლივი პედაგოგიური გამოცდილება.

◎ ასოციირების ხელშეკრულება

სახელმწიფო ჩვენ უნდა ავაშენოთ

საქართველოს ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულება, ბოლო დროის ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენაა, რომელზეც ხალხიც და ხელისუფლებაც დიდ იმედებს ამყარებს. რა კონკრეტული პირობები დგას საქართველოს წინაშე ამ დოკუმენტის ქაღალდზე დაწერილი ტექსტიდან რეალურ საქმეში გადაყვანის გზაზე, რა სიძნელეები აქვთ გადასალახავი ადგილობრივ მეწარმეებსა და რა ნაბიჯები უნდა გადადგას ხელისუფლებამ მათთვის მაქსიმალურად ხელის შესაწყობად? — ამ და კიდევ რამდენიმე სხვა შეკითხვით ეკონომიკის ექსპერტს დემურ გიორხელიძეს მივმართეთ.

— საქართველო-ევროკავშირს შორის ახლახან ხელმოწერილი ხელშეკრულება ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად კარგი დოკუმენტია და მისგან სარგებელი რომ მივიღოთ, შემოთავაზებული წესებით უნდა ვითამაშოთ, — თქვა ბატონმა დემურმა. — ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი პოლიტიკური სისტემა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ევროპის უზარმაზარ ბაზარზე ღირსეული ადგილის დამკვიდრება შევძლოთ. ჯერჯერობით კი ეს ხელშეკრულება უფრო პერსპექტივაზე მიმართული სტიმულია, ვიდრე სამოქმედო გეგმა, რისი მიზეზი, უწინარესად, ისაა, რომ დღესდღეობით ძალიან ნაკლებად გაგვაჩნია კონკურენტუნარიანი პროდუქცია, რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო პროდუქციით დიდად განებივრებულ ევროპულ მომხმარებელს სტაბილურად მივაწვდით. თანაც ლაპარაკია არა მარტო ბუნებრივ საქონელზე, ვთქვათ, ხილზე, ბოსტნეულზე თუ გადამმუშავებელი წარმოების პროდუქციაზე, არამედ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილ ნაწარმზე. იმ პირობებში კი, როცა სამამულო ეკონომიკა სრულად დეინდუსტრირებულია, როცა ქვეყნის შიდა ბაზარზე საქონლის 80 პროცენტი იმპორტულია, ხოლო ეკონომიკური განვითარების ხარისხით გასული საუკუნის 90-იანი წლების დონისთვის ჯერაც ვერ მიგვიღწევია, როცა სრულიად მორღვეულია პროდუქციის სტანდარტებისა და ხარისხის კონტროლის ინფრასტრუქტურა, ძნელია ევროპის ბაზარზე დამკვიდრებაზე სერიოზულად ვილაპარაკოთ — ჩვენი უვარგისი საქონლით იქ არავინ მიგვიღებს. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია სამამულო ეკონომიკის ევროპულ რელსებზე გადაყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვის ვუმალავთ, რომ რაღაც ადმინისტრაციულისა და ფსევდოსაბაზრო ეკონომიკის სრულიად უაზრო ნაზავი გვაქვს?!

ბატონი დემურ გიორხელიძის აზრით, ევროკავშირის ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის ინტეგრირება ერთობ

გრძელვადიანი, დაახლოებით 7-10 წლის პროცესია — ეს ის დროა, რომელიც საქართველომ ევროკავშირთან ხელმოწერილი ინტეგრირების კარგი ხელშეკრულების შედეგად მაქსიმალური სარგებლის მიღება უნდა დაიწყოს. საქმე ისაა, რომ ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე ყველაფერი მკაცრად რეგლამენტირებულია, ნებისმიერი კონკრეტული პროდუქცია გარკვეულ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, აქედან გამომდინარე, ქართულ პროდუქციას იქ დიდი შეზღუდვები ექნება. სხვა პროდუქციას ქართული საქონელი ფასითაც ვერ გაუწევს კონკურენციას — ამ შემთხვევაში დემპინგურ ფასთან წარმოშობილი სხვაობის დაფარვა ისევ ექსპორტიორს მოუწევს. ამდენად, ექსპერტის თქმით, ჩვენს მეწარმეებს მუხლჩაუხრელი შრომა სჭირდებათ და არა ტაშფანდური და ვაშა-ვაშას ძახილი, საუკუნოვანი ოცნება ავისრულეთ და ევროპის ნაწილი გავხდითო.

მოკლედ, გონს მოგება გვჭირდება, საიმისოდ, რომ თანამედროვე ქართული სახელმწიფო ავაშენოთ, დასავლთევროპული ტიპის წარმატებული ქვეყანა აქ უნდა ავაშენოთ, ჩვენ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის, სამოქალაქო კონტროლის, პასუხისმგებლობის ხარისხის ამაღლება გვჭირდება — სწორედ ეს არის ევროპული ორიენტაცია.

ადრეც არაერთხელ მითქვამს, ახლაც გავიმეორებ: ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებას არანაირი შედეგი არ მოჰყვება, თუკი ჩვენ სახელმწიფო-საზოგადოებრივ ცხოვრებას და ეკონომიკურ საქმიანობას ისევ ძველებურად განვაგრძობთ.

— რა არის, თქვენი აზრით, ამ მიმართულებით ხელისუფლების მიერ პირველ რიგში გასაკეთებელი?

— ამჟამად ხელშეკრულება დივიდენდს მხოლოდ ხელისუფლებასა და მის სატელიტ ძალებს აძლევს, რომლებიც ნატოსა და ევროკავშირის წევრობის პროპაგანდისტები არიან. ამდენად, საქმის გონივრულად წარსამართავად, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური ნებაა საჭირო. კაცმა რომ თქვას, ჯერ ევროკავშირის ასოციირების სტადია არ გაგვივლია, ევროპელთათვის ჯერ არ დაგვინახვებია, თუ როგორი პარტნიორი ვართ, რამდენად შეგვიძლია საქმის გაძღოლა, ჩვენი პროდუქციის რაობა ევროპელი მომხმარებლისთვის, არსებითად, უცნობია, ამიტომ სატაშფანდურო ჯერჯერობით ბევრი არაფერი გვაქვს. თანაც, ლაპარაკი იმის თაობაზე, აი, ღვინოს გავიტანთ ექსპორტზე, თხილს, სხვას, ნამდვილად არასერიოზულია. **საქართველო ევროპაში მაღალტექნოლოგიური და მაღალინტელექტუალური საქონლით უნდა შევიდეს, ასეთ პროდუქციას მეცნიერები, მაღალკვალიფიციური ინჟინრები, ტექნოლოგები ქმნიან.** მაშასადამე, ჩვენ, პირველ ყოვლისა, განათლებას უნდა მივხედოთ, იგი ფუნდამენტურ პრიორიტეტად უნდა გავიხადოთ, რადგან სწორედ განათლებიდან მოდიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, სწორედ ისინი ქმნიან კონკურენტუნარიან პროდუქციას.

— ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების ერთობ გამორჩეული ნიუანსია მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ამა თუ იმ პროდუქციაზე მათი სწორი ინფორმირება, რაც ჩვენში აქამდე, ფაქტობრივად, უგულებელყოფილი იყო. განა შეძლებენ კი ადგილობრივი მეწარმეები ხარისხის აწევას, დანარჩენი მოთხოვნების უზრუნველყოფას, თუ ჩვენებური პროდუქცია კვლავაც, ისეთივე ხარისხი იქნება, როგორც საბჭოურ დროში იყო, როცა ერთი და იგივე საქონელი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული იყო იმისდა მიხედვით, თუ რომელ სამომხმარებლო ბაზარზე გადიოდა — შიდაზე თუ საგარეოზე?

— რაიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა პროდუქციის გატანაზე ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ბევრი არაფრის გატანა არ შეგვიძლია, რადგან სამამულო წარმოების პროდუქციის უმეტესი ნაწილი ევროპულ ბაზარზე არსებული საქონლის ხარისხთან შეუსაბამოა. ჩვენ იმდენად უპატივცემლოდ ვეპყრობით საკუთარ ხალხს და საკუთარ თავს, რომ საქართველო ლამის სანაგვედ ვაქციეთ. იმპორტირებული კვების პროდუქტების უმეტესი ნაწილი ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანია, რასაც წლების შემდეგ ვიგრძნობთ, როცა ეს ჩვენს ჯანმრთელობაზე აისახება. ამდენად, პრობლემები ისევ ჩვენში გვაქვს აღმოსაფხვრელი და ამას დროულად უნდა მივხედოთ.

ოთარ ტურაბელიძე

დარწმუნებული ვარ, სიმართლის სხივი გამოანათებს!

რატომ გაათავისუფლეს ხელმძღვანელი და რად დანიშნეს სხვები უკონკურსოდ?

პატივცემულო რედაქცია, წერილი, რომელსაც გიგზავნით და რომლის გამოქვეყნებასაც გთხოვთ, ამა წლის 18 ივლისს გაეგზავნა და ჩაბარდა ქვემოთ მითითებულ ადრესატებს. გამომეპასუხა მხოლოდ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ამიხსნეს, რომ მათ არა აქვთ ზემოქმედების უფლება, რადგან „საქართველოს რკინიგზის“ აქციების 100 პროცენტის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“.

დიდი მადლობა ამ სამინისტროს ხელმძღვანელობას ყურადღების გამოჩენისა და რეაგირებისთვის.

და რაკი სხვათაგან უპასუხოდ დავრჩი, პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ დამეხმაროთ იმაში, რომ თქვენი გაზეთის მეშვეობით ღია წერილით მივმართო ბატონ კახი კალაძეს და ვთხოვო მას, მოუწოდოს სს „საქართველოს რკინიგზას“, იმის სამეთვალყურეო საბჭოს, სს „საპარტნიორო ფონდს“, გამცენ პასუხი ჩემს შეკითხვებზე.

ყველა ჩამოთვლილი ბატონი ჩემი გაგებით, თითქმის მინისტრის რანგშია, და ამიტომ მორიდებით ვთხოვ მინიმალურ მსახურებას — მიპასუხონ! აქ არ არის საჭირო ხანგრძლივი კვლევები. საჭიროა მხოლოდ ის, რომ ყველაფერს სწორი სახელი დაერქვას — კერძოდ, ითქვას, რით იყო მიზანშეწონილი ერთის გათავისუფლება და უკონკურსოდ ახალი ხელმძღვანელების დანიშვნები? რატომ ვართ იგნორირებული ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები? ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ არავის ჩამოვუვარდები მოქალაქეობრივი ჯანსაღი პოზიციით და პატრიოტიზმით.

ამ მცირე შესავლის შემდეგ მინდა, პატივცემულო რედაქცია, ახლა უკვე თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართო ქვემოთ ჩამოთვლილ ბატონებს:

სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ მამუკა ბახტაძეს;

სს „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ კონსტანტინე გუნცაძეს;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს;

საქართველოს ვიცე-პრემიერს ბატონ კახი კალაძეს

პატივცემულო ბატონებო!

კიდევ ერთხელ მოგესალმებით და გამოვხატავ თქვენდამი პატივისცემას.

ხაზს ვუსვამ იმას, რომ შეგნებულად არ შემიწუხებიხართ საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, მანამ, სანამ არ ჩათავდა:

— ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნები;

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები;

— ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერა.

გილოცავთ! ყველაფერი ქვეყნის და ხალხის სასარგებლოდ გადაწყდა!

ევროპამ გვიწამა!

ამიტომ ახლა ვუბრუნდები ბატონ მამუკა ბახტაძისთვის ჩემს მიერ დასმულ კითხვას **საქართველოს რკინიგზის შვილობილი კომპანია „ტრანს კავკასუს ტერმინალსიდან“ დირექტორის მირზა დოლიძის განთავისუფლების და, საერთოდ, სისტემიდან გაშვების მიზეზის გარკვევის თაობაზე...**

რადგანაც საქართველოს რკინიგზის ვერც ერთმა ხელმძღვანელმა ვერ მოახერხა პასუხის გაცემა ჩემს ორგზის წერილობით მიმართვაზე, იძულებული ვარ, თქვენ შეგაწუხოთ, ბატონო კახი და ბატონო გიორგი. იქნებ თქვენ შესძლოთ, მოუწოდოთ თქვენს ქვემდგომებს, გამცენ პასუხი.

ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: როცა გამოვიდა ბატონი მამუკა ბახტაძის ხელმოწერით დადგენილება (№ 2/35, 2013 წლის 16 ივლისი), ჩავთვალე, რომ დირექტორატს ჩაფიქრებული აქვს სასარგებლო ფართო რეფორმების გატარება და ამიტომ არის კადრების გადაადგილების საჭიროება. მე მთლიანად ვენდობი და მხარს ვუჭერ ბატონი ბიძინას პოლიტიკურ და სამეურნეო გუნდს. ამიტომ დაუეჭვებლად ვურჩიე მირზა დოლიძეს, მიეღო დირექტორატის გადაწყვეტილებები. ვთვლიდი, რომ რკინიგზას ხელმძღვანელობს სერიოზული გუნდი და ამიტომ ვერ დავუშვებდი მის წევრთა ისეთ დაწვრილმანებას და უღირს საქციელს, რასაც ჰქვია ადამიანისთვის უსამართლოდ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე სამუშაო ადგილისჰთანამდებობის „გუნდურად“ ,გამოგლეჯა“.

ამიტომ მე ახლა როგორც მშობელი კი არა, არამედ როგორც უბრალო საქართველოს მოქალაქე, ვინტერესდები, რატომ მოიძცა ასე „რკინიგზის“ დირექტორატი?

არ გაკეთებულა არც მანამდე და არც შემდეგ არავითარი განმარტება!

რა ხდება?

ათავისუფლებენ სამსახურიდან ევროპულად განათლებულ ახალგაზრდა კაცს, აბსოლუტურად სუფთა ბიოგრაფიით, მრავალნაირი რიგითი სამუშაოს პრაქტიკაგავლილს (ნახეთ CV), პატრიოტს, საქმისადმი ერთგულებითა და პასუხისმგებლობით განმსჭვალულს. ვის მოუნდა ასე?

რატომ ვერ ამბობთ ვერაფერს? ვერც თქვენი „მიზანშეწონილობის“ ადრესატს პასუხობთ! როცა ის ცდილობდა თქვენთან შეხვედრას ან ეძებდა სხვა კომუნიკაციას, თქვენ დაიმალეთ. არ მპასუხობთ არც მე (სხვათა შორის, მე დიდ მინისტრებთან მქონია შეხვედრები, ლაპარაკი, კამათი, შეთანხმება. ეს ისე, არ გეწყინოთ), არც ის გაგიკვირდეთ, თუ გეტყვით, რომ ვარ ყოფილი დიდი იმპერიის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1991 წელი). არ გაგიკვირდეთ — კარგი ჯილაგისანი ვართ.

ჩვენი პრეზიდენტყოფილი არც ქართველებს უსმენდა და არც ქართულ პრესას კითხულობდა. არა მგონია, მისი მიბაძვა საამაყო იყოს. რა თქმა უნდა, თქვენ, ცალ-ცალკე, ვერ გასწვდებით ყველას და ყველაფერს. მაგრამ ამისთვის არსებობს თქვენი აპარატი, შტატი საზოგადოებასთან ურთიერთობის, თანაშემწეები და ა.შ. ნუთუ არც ისინი ინტერესდებიან, რა თხოვნები, წინადადებები, პრეტენზიები შემოდის თქვენი მისამართით ელფოსტით ან, უფრო მეტიც, იბეჭდება გაზეთებში?

თუ ფიქრობთ, რომ ასეთი პოზიცია სწორია, ძალიან ცდებით, ხოლო თუ ფიქრობთ ასე გაგრძელებას, მით უარესი.

ეს მე მაფიქრებინებს, რომ ის, რაც ხდება და იგეგმება ჩვენს ქვეყანაში დღეს სწავლება-რეფორმებთან დაკავშირებით, პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით, პროფესიონალიზმთან დაკავშირებით, მაღალი დონის განათლებასთან დაკავშირებით, თქვენი აზრით, თქვენ არანაირად არ გეხებათ და არ გჭირდებათ(?!). ან თქვით, რომ მირზა დოლიძის დონის განათლების და CV-ის მფლობელები ჭარბად გყავთ სისტემაში და ამიტომ ჩათვალეთ მიზანშეწონილად მისი გათავისუფლება (გაშვება) და **ყოველგვარი კონკურსის გარეშე სხვების დანიშვნა!**

შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს ვიღაცის პირადი ინტერესი. ეს სტილი არ არის სასარგებლო არც საქმისთვის, არც ქვეყნისთვის. სწორედ ამიტომ ვაგრძელებ თქვენთვის წერილობით მომართვებს. თუ არ მიპასუხებთ, ისევ მივმართავ გაზეთებს და ტელევიზიას. შემდეგ — პრემიერს. დარწმუნებული ვარ, სიმართლის სხივი გამოანათებს! ამ სიმახინჯის აღმოფხვრას მივაღწევ. **როგორც ხედავთ, პირადულზე მეტად საქვეყნო საქმე და თქვენი შეცდომების აღმოფხვრა მაწუხებს.**

ვლაპარაკობ ღიად და საზოგადოების გასაგონად გისვამთ შეკითხვას: „რა დაუწუნეთ ამ საქართველოს მოქალაქეს?“ ევროგანათლება? ენების ცოდნა? შრომითი ბიოგრაფია? საქმიანი კავშირები? რა დონეზე ჩაიბარა და რა დონეზე „გამოგლიჯეთ“ „კავკას ტრანს ტერმინალსი“? იქნებ გვარი არ მოგწონთ? (ჩვენ, დოლიძეები, საქართველოში 10.000 ვართ), იქნებ ბათუმელობა არ მოგწონთ?

ხედავთ, პასუხის რამდენი ვარიანტია?

კიდევ ერთს გკადრებთ: თქვენი ასეთი ქმედებები ხელს უშლის იმას, რომ საქართველოში დაბრუნდეს სამშობლოდან წასული მისი მილიონამდე მოქალაქე. ისინი თავის დროზე აქედან გაჭირვებაზე არანაკლებ უსამართლობას გაექცნენ! ახლა ვცდილობთ მათს დაბრუნებას. თქვენი ასეთი ქმედებებით კი უშლით ხელს ამას!

მეტიც, ასეთი საქციელით, შეიძლება, მომენტებში ხელიც კი შეუწყოთ ქვეყნიდან ხალხის ახალი ნაკადის გასვლას.

უფრო მეტიც: წინანდებურად რომ არ აქტიურობს ამომრჩეველი „ოცნების“ სასარგებლოდ, ეს ძალიან მწყინს და, დარწმუნებითაც შემიძლია გითხრათ, რომ თქვენი ასეთი უსამართლო გადაწყვეტილებებიც იწვევენ ამას!

მოგეხსენებათ, წინა მთავრობის რეჟიმიდან ხალხის დიდი არმია არის დაჩაგრული, დამცირებული, შეურაცხყოფილი, გაძარცული. ჩვენს დღევანდელ მთავრობას ისედაც უამრავი პრობლემა აქვს და კიდევ ახალი თავსატეხის გაჩენა სჭირდება ამ გაღიზიანებული ხალხის ახალი პრობლემებით? თქვენ რატომ უმატებთ ახლებს? რას ან ვის უწყობთ ხელს?

ჩემი ქმედებები ნაჩვენები წერილებში და საგაზეთო ღია წერილში, ასევე გამონათქვამები არის გულწრფელი, თქვენგანაც ვითხოვ გულწრფელობას.

პატივისცემით,
ტარიელ დოლიძე.
ბათუმი.

ჩემი საკონტაქტო მონაცემებია:
ელფოსტა: ინფო გეომარ. გე
ტელ.: 422 27 62 01; მობ.: 599 55 85 07

ვასილ მაღლაფერიძე:

ადეიშვილის დუმილი ბევრად მეტს ნიშნავდა, ვიდრე მერაბიშვილის მჭევრმეტყველება

მიხეილ სააკაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდების ერთ-ერთი მთავარი მოწმე, მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ვასილ მაღლაფერიძეა. სწორედ, მაღლაფერიძემ მიაწოდა სახალხო დამცველს 5 ნოემბერს დეტალური ინფორმაცია, ვანო მერაბიშვილის მიერ ჩატარებული თათბირის შესახებ. მაღლაფერიძე დეტალურად იხსენებს ამ თათბირის შინაარს და ამბობს, რომ 2007 წლის 5 ნოემბერს, რა ჩვენებაც მისცა სახალხო დამცველს, ზუსტად იგივე ჩვენება მისცა პროკურატურას.

For.ge ვასილ მაღლაფერიძეს ესაუბრა.

— რატომ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ თათბირის დეტალები მეორე დღესვე წერილობით გადაგეცათ სახლხო დამცველისთვის? ფაქტია, რომ ინფორმაციის გასაჯაროება გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული...

— რასაკვირელია, ამ ინფორმაციის გასაჯაროება რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ბევრად უფრო დიდი რისკი იყო ისეთ ქვეყანაში გვეცხოვრა, როგორი ქვეყნის აშენებას ეს ბატონები გეგმავდნენ. ჩავთვალე, რომ როდესაც იქ არის შს მინისტრი, გენერალური პროკურორი, თავდაცვის მინისტრი და ადამიანი, რომელიც თითქოსდა გადადგა, ვგულისხმობ დათა ახალაიას, რომელიც განაგებდა უშიშროებას, მივხვდი, რომ ამ ქვეყანაში დამთავრებულია ნებისმიერ სამართალზე ლაპარაკი. ჩავთავლე, რომ მოქალაქეებს უნდა სცოდნოდათ ეს ინფორმაცია.

— შეგიძლიათ, გაიხსენოთ თათბირის დეტალები? თქვენ ამბობთ, რომ შეხვედრას გუბერნატორების გარდა ესწრებოდა კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი, რომელიც უარყოფს ამ ინფორმციას და ამბობს, რომ მაღლაფერიძის განცხადება პოლიტიკურად ანგაჟირებულია...

— მას შემდეგ, რაც 7 ნოემბერი მოხდა, ერთი თვის შემდეგ ჩავატარეთ არჩევნები, წამოვედი ხელისუფლებიდან და ამ დღიდან არანაირი კავშირი არ მქონდა მათთან და რა პოლიტიზირებული მიზნები უნდა მქონდეს? მე თქვენგან მაინტერესებს, თქვენ როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ.

— ძალიან მძიმე...

— როდესაც სახალხო დამცველთან მივედი, თავზარდაცემული ვიყავი. უცებ დავინახე, რომ ადამიანებს რომლებსაც ვიცნობდი, გასული არიან კანონის ფარგლებიდან. როდესაც მოვედი შსს-ს შენობაში, ლიფტთან შემხვდნენ მეორე შესასვლელიდან შემოსული დავით კირკიტაძე და ზაზა გოროზია. მეხუთე სართულზე ავედით და პირდაპირ შევედით ვანო მერაბიშვილის კაბინეტში. იქ დაგვხვდნენ ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა, კუდის ყოფილი უფროსი დათა ახალაია, კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი. იყო ასევე ტანმორჩილი ახალგაზრდა, რომელსაც ამირანს ეძახდა ვანო და ვიფიქრე, მესხელი თუ არის-მეთქი, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი გოგა ხაჩიძე, იმერეთის გუბერნატორი კაკო ბობოხიძე, შიდა ქართლის გუბერნატორი და ქვემო ქართლის გუბერნატორი ზურაბ მელიქიშვილი.

ვანო ჩქარობდა, დავიწყოთო. ვიღაცამ თქვა, საცაა მიხოც მოვაო და, მართლაც, ორ წუთში გურიის გუბერნატორი მიხო სიმონიშვილიც მოვიდა. აი, ოქრუაშვილის კიდევ ერთი კადრიც მოვიდა, იხუმრა ვიღაცამ — ეგ, აუცილებლად, გენერალური პროკურორის გვერდით დასვითო. მიხომ უხერხულად გაიცინა და მართლაც ადეიშვილის გვერდზე დაჯდა.

— ძალიან მნშიშვნელოვანია თათბირის დეტალები. მერაბიშვილის შეგონებამ - „ვინც არ იცით როგორ უნდა სცემოთ თირკმელებში, კონსულტაცია გაიარეთ დათა ახალაიასთან“-ო, დავით კირკიტაძე ხუმრობის ხასიათზე დააყენა, მაგრამ საბოლოო ჯამში, როგორი იყო გუბერნატორების რეაქცია?

— გუბერნატორების აბსოლუტური უმრავლესობა იყო განცვიფრებული, თუმცა, სხვადასხვა სახით გამოხატავდნენ ამას. მათთვის ეს იყო მოულოდნელი. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ისინი ამ ბოროტების გეგმის შექმნაში არ მონაწილეობდნენ. როგორც ჩანს, კირკიტაძე და კიდევ რამდენიმე ადრე იყო ამ ბოროტებაში ჩართული. აღმოჩნდა, რომ ქვეყანა როგორ იმართებოდა, გუბერნატორებმა არ ვიცოდით. ვანომ დაიწყო — ორ საკითხთან დაკავშირებით მინდა თქვენთან საუბარიო. პირველი, უნდა იყოთ ძალიან მხნედ, ყველამ უნდა დაგინახოთ, რომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, რაც ქუჩაში ხდებაო. ამის შემდეგ მონოლოგის სახით ასე გვითხრა: „ეს ნაძირლები ძალიან გაბლატავდნენ, ორ დღეში მოინდომეს იმის წაღება, რისთვისაც ჩვენ ოთხი წელი ვიბრძოდით. მართალია, დიდი არაფერი ძალა არა აქვთ, მაგრამ აუცილებელია, პრევენციული ზომების მიღება. კაცმა რომ თქვას, რაიონებიდან მართლაც არ ჩამოსულა ბევრი ხალხი, მაგრამ ვინც ჩამოვიდა, ან აწი ჩამოვა, ყველას უნდა მიხედვა. უკვე დავალებული აქვს კონსტიტუციურს, მაგრამ თქვენც აქტიურად უნდა ჩაერთოდ ამ პროცესში, შეადგინეთ სიები ყველა მიტინგზე ჩამომსვლელის, შეუშვით თქვენი ხალხი მიტინგზე, არც ერთი ადამიანი არ უნდა ჩავიდეს უკან გაულახავი. არა სახალხოდ - სათითაოდ.

მაგალითად გურიიდან ან ზუგდიდიდან ჩამოსული ადამიანს უკან გზაზე გააჩერებენ, მაგალითად, ქუთაისთან და დაუნგრევენ თირკმლებს. გენერალური პროკურორი აგერ არის და გვაძლევს ნებართვას. მოკლედ, ისე უნდა გაილახოს, რომ დიდხანს ვერ დადგეს ფეხზე, სახეზე ერიდეთ, არ არის აუცილებელი, ძირითადად თირკმელებში, მუცელში, ვინც არ იცის, როგორ, გაიარეთ კონსულტაციები ახალაიასთან.

ვინც ცოტა „მოშავოა“, ან ეგეთი ტიპი, ჯიბეში ნარკოტიკი და -ბაჩოსთან. გარეთ ერთი ახალაია მოუვლის, შიგნით მეორე ახალაია დახვდებათ“, - თქვა მერაბიშვილმა.

სხვათა შორის, საკუთარ ამ ხუმრობაზე საკმაოდ იცინა. როდესაც შს მინისტრი და გენერალური პროკურორი ერთად იღებენ გადაწყვეტილებას, რომ განსხვავებული პოლიტიკური აზროვნების გამო, ადამიანებს წინააღმდეგ სასტიკი ანგარისწორება დაიწყონ, ცხადია, რომ ქვეყანაზე და სახელმწიფოზე ლაპარაკი არ იყო. განსაკუთრებული ცინიზმია, რომ ეს ადამიანები დემოკრატიაზე და ევროპეიზაციაზე საუბრობენ. აბსოლუტურად ცინიზმია როცა ე.წ. ექსპეტრები და საზოგადო მოღვაწეები საუბრობენ ევროპაზე. არა ბატონებო, ეს არაა ევროპა, ეს არის ჩრდილოეთ კორეა.

— როდესაც მოისმინეთ მერაბიშვილის დავალება, შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ ეს გეგმა განხილული იყო გარკვეულ ჯგუფში?

— რასაკვირველია. ვიღაცებმა წინასწარ იცოდნენ და გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო. გუბერნატორებს გააცნეს იმის გამო, რომ გუბერნატორებს შტაბები უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ, სინამდვილეში, გუბერნატორებს ამის რესურსი არ გააჩნდათ. სინამდვილეში ჩვენი დაბარების მიზეზი მდგომარეობდა შემდეგში - როდესაც დაიწყებოდა რეგიონებში და ქალაქებში ანგარისწორება, ეს არ გაგვკვირვებოდა. ფაქტობრივად გაგვაფრთხილეს გუბერნატორები, რომ თვალი დახუჭეთ და თუ მაგარი ბიჭები ხართ, თავი ისახელეთ ამ ადამიანების ცემა-ტყეპითო.

— გიგი უგულავას ფუნქცია რა იყო?

— გიგი უგულავამ ძალიან კარგად იცოდა ამ თათბირის შესახებ. ის იქ არ უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც კულტურის მინისტრიც არ უნდა ყოფილიყო. მახსოვს, ვანომ — გვეჩქარება, ვეღარავის დაველოდებით, დავიწყოთო და თან უგულავას უთხრა ხუმრობით, ზედმეტებმა დაგვტოვონ, ხელს ნუ გვიშლითო. გიგი ოთახში წინ და უკან დადიოდა და ღლაბუცობდა.

— ძალიან საინტერესო არის მერაბიშვილის და ხაჩიძის დიალოგი, როდესაც მერაბიშვილმა მას არ მოუწონა იდეა. რა იდეა ჰქონდა ხაჩიძეს?

— ხაჩიძისთვის ეს ამბავი მოულოდნელი იყო. ის არ იყო ამ ცემა-ტყეპის დამგეგმავი. თუმცა, როგორც ჩანს, ეს ბრძანება გააპრავა. გოგა ხაჩიძემ ითხოვა სიტყვა, რაღაცის თქმა მინდაო. ვანომ მისცა სიტყვა. მისი იდეა იყო, რომ გავუშვათ კლიპები, სადაც მითითებული იქნება, ოპოზიციის კონკრეტული გამონათქვამები კანონის რომელ მუხლს არღვევენო, მაგრამ ვანომ უთხრა, რომ არ არის ახლა ამ სისულელეების დრო, ახლა თეორიების და ჰაერში ფრენის დრო არ არის, ლაპარაკია, ამ ბოზების ბოლომდე ჩატ...აზე. ვინც ჩვენიანია, საქმით უნდა დაამტკიცოსო.

თუ ვინმე ბიზნესმენია შენიშნული ოპოზიციის დაფინანსებაში, აგერ კეზერაშვილს უთხარით და მიხედავსო. თქვა, რომ ეპარქიებთან იმუშავეთ, იმ ბიზნესმენებთან, ვინც ეპარქიებს ეხმარებიან, რომ ხალხს სისულელეები არ ელაპარაკონო. მიტინგზე გადახედეთ, ყველას გვყავს ნაცნობი სპორტსმენი, მსახიობი, ეგეთი ტიპები, დაურეკეთ, გადმოიბირეთ, დაარწმუნეთ, შეაშინეთ, თუ გინდათ, მოისყიდეთო და აქვე თქვა, ონაშვილზე რა ქენითო, რაზეც ახალაიამ უპასუხა, რომ ჩემთან მყავდა და მივხედე, ყველაფერი წესრიგშიაო.

— რას ამბობდა ახალაია, რომელსაც უფლებამოსილება შეჩერებული ჰქონდა და ის წესით იქ არ უნდა ყოფილიყო, რაც ასევე დანაშაულია...

— თვითონ ეს თათბირი იყო კრიმინალური. ამ თათბირიდან დამრჩა შთაბეჭდილება, რომ დათა ახალაია იყო ერთ-ერთი პირი, რომელიც სახელმწიფოში იღებდა მთავარ გადაწყვეტილებას პრეზიდენტთან ერთად. იქ გამოჩნდა, რომ თანამდებობა კი არ ნიშნავდა რამეს, არამედ რეალურად რა იერარქია ეკავათ იმ მაფიაში. დათა ახალაია იყო გადაწყვეტილების მიმღები პირი.

— პრეზიდენტი თათბირს არ ესწრებოდა? იყო ანგარისწორების ეს გეგმა პრეზიდენტთან შეთანხმებული?

— პრეზიდენტი არ ყოფილა და პრეზიდენტის სახელი არ თქმულა, მაგრამ რატომ წავედი სახალხო დამცველთან და არ წავედი პრეზიდენტთან, ვისთანაც პირდაპირ შემეძლო დამერეკა? — არ წავედი იმიტომ, რომ ჩავთვალე, რომ ამ ბანდის მეთაური იყო მიხეილ სააკაშვილი. შეუძლებელია ამ ტიპის თათბირი მიხეილ სააკაშვილის გარეშე გაემართათ. რასაკვირველია მიხეილ სააკაშვილმა იცოდა.

თათბირს ესწრებოდნენ თუ არა ვასილ სანოძე და ამირან მესხელი? ვრცელდება ინფორმაცია, რომ მესხელმა მოახდინა თათბირის ჩაწერა, რომლის აუდიოვერსია აღმოჩნდა პროკურატურაში, რომელიც სხვა მტკიცებულებებთან ერთად დევს ამ საქმეში...

ეს იყო მესხელი, სანოძე თუ სხვა, ამის შესახებ არ მაქვს ინფორმაცია და თავს შევიკავებ. მაგრამ, ეს თათბირი არის დამტკიცებადი. ერთხელ იყო ნახსენები ამირანი, ახალგაზრდა ტანდაბალი ბიჭი იყო. სოზარ სუბარი ითხოვდა საგამოძიებიო კომისიის შექმნას და სხვათა შორის, თქვენმა ყოფილმა პორტალმა - presa.ge-მ, რომელიც შემდეგ წაგართვეს, პირველმა გამოაქვეყნა სოზარის გამოსვლა, სწორედ თქვენი გამოცემიდან გახდა ცნობილი საზოგადოებისთვის ამ თათბირის შესახებ.

ხელისუფლებაში ძალიან კარგად იცოდნენ ვინ მისცა სახალხო დამცველს ეს ინფორმაცია, მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რაც მოხდა იმ თათბირზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდოდათ საგამოძიებო კომისიის შექმნა. გახსოვთ მაშინ, მათი განცხადებები, რომ ტყულია და ა.შ. ტყუილი რომ ყოფილიყო იმ დღესვე შექმნიდნენ კომისიას, მაგრამ მათ იცოდნენ, რომ ეს საქმე იყო დამტკიცებადი. დირექტივა ჰქონდათ მიღებული, რომ კომისია არ უნდა შეექმნათ.

— თქვენი ჩანაწერიდან ჩანს, რომ შს მინისტრი სიცილით გაცნობდათ გეგმას, როგორ უნდა გეცემათ ადამიანები, იქვე იყო ადეიშვილიც, რას ამბობდა იგი?

— ჩემი პირადი აზრია, რომ ადეიშვილი იყო ერთ-ერთი მთავარი და ბევრად უფრო დიდი შემოქმედი და დამგეგმავი ყოველგვარი ბოროტებისა. პროკურატურას ჰქონდა ერთადერთი ფუნქცია, ადამიანების დატერორების და ანგარიშსწორებისა. ადეიშვილის სიჩუმემ და მერაბიშვილის საუბარმა არ მოგატყუოთ. ადეიშვილის დუმილი ბევრად მეტს ნიშნავდა, ვიდრე მერაბიშვილის მჭერმეტყველება.

— 8 წლის წინათ, როდესაც ფურცელზე გადმოგქონდათ თათბირის დეტალები, ფიქრობდით, რომ თქვენი წერილი გახდებოდა თათბირის მთავარი გმირების საბრალდებო დასკვნა?

— მართალი გითხრათ, ვიცოდი, რომ ამ თათბირის შესახებ ადამიანებს ინფორმაცია უნდა ჰქონოდათ. ვისურვებდი, რომ პროკურატურამ ახლა მაინც მიიყვანოს ეს საქმე ბოლომდე. სხვანაირად ნორმალურ ქვეყანაში ვერ ვიცხოვრებთ.

თამთა ძარჩავა

> **ადეიშვილი იყო ერთ-ერთი მთავარი და ბევრად უფრო დიდი შემოქმედი და დამგეგმავი ყოველგვარი ბოროტებისა. პროკურატურას ჰქონდა ერთადერთი ფუნქცია, ადამიანების დატერორების და ანგარიშსწორებისა. ადეიშვილის სიჩუმემ და მერაბიშვილის საუბარმა არ მოგატყუოთ...**

ძველ ხიბულაში სროლებამდე და სროლების შემდეგ

30 ვერცხლად გაყიდული საქართველოს სულიერი მისია

ჩავთვალე, რომ ჩემი გამგზავრება მოსკოვში საბერძნეთის საელჩოში საკმაოდ მტკიცე საბაბია ზარისთვის გამსახურდიასთან, რომელსაც იმ დროისთვის უკვე საქართველოს პრეზიდენტის პოსტი ეკავა. ამას გარდა, ეს იყო შესაძლებლობა, შემეხსენებინა მისთვის ჩემი თავი და ჩვენი გაზეთი. ყურმილი თავად აიყო. მე მივაწოდე მას ინფორმაცია მომავალი შეხვედრის შესახებ და დავინტერესდი, ხომ არ სურს მას გადასცეს ჩემი მეშვეობით რაიმე საბერძნეთის ელჩს. ჩემდა გასაოცრად, ზვიადმა ჩემს სიტყვებზე მოახდინა რეაგირება გაცილებით უფრო ენერგიულად, ვიდრე ველოდი. მან მთხოვა, აუცილებლად მივსულიყავი მასთან რეზიდენციაში მომავალი დღის საღამოს, დაახლოებით ექვსი საათისათვის. „ხვალ დილით კახეთში მივემგზავრები, ხუთის შემდეგ კი ვიქნები ჩემთან“, — მითხრა მან.

მეორე დღეს დაახლოებით დღის ორ საათზე რედაქციაში დამირეკა საქართველოს მთავრი პროკურორის მოადგილემ დიმიტრი ჩიტლოვმა და თავისთან მიმიწვია სტუმრად: „იქნება პატარა სუფრა. შეიკრიბებიან საინტერესო ადამიანები. მოდით, დაახლოებით ექვსი საათისათვის“, — მითხრა მან. სხვადასხვა სახელმწიფო და პარტიული ბონზების მისაღებში ხანგრძლივი ლოდინის გამოცდილების მქონემ, სამწუხაროდ, უარი ვუთხარი ამ მიწვევაზე: „ექვსი საათისთვის მე დანიშნული მაქვს შეხვედრა პრეზიდენტთან. ვაი რომ, არ ვიცი, როდის მიმიღებს. ძნელად, რომ წამოვიდე იქიდან ასე მალე“, — დავიჩივლე მე.

ერთი სიტყვით, ექვს უკლდა თხუთმეტი წუთი, როგორც ვაპირებდი, შევედი ზვიად გამსახურდიას მისაღებში. და აი, ბედნიერება! აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტი უკვე დაბრუნდა თბილისში. როდესაც დავფიქრდი იმის შესახებ, რომ იქნებ მოვასწრებ ჩიტლოვთან წასვლასაც, ვთხოვე მდივანს, შეეხსენებინა ზვიადისთვის ჩემი თავი. მაგრამ რა არის ეს? მისაღებში ერთი-მეორის მიყოლებით შემოდიან უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელები — ათი-თორმეტი კაცი. მე ადვილად ვიცანი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე, უცხოეთის საქმეთა კომისიის შეფი თედო პაატაშვილი... გაირკვა, რომ სწორედ ექვსი საათისათვის გამსახურდიასთან დანიშნულია რაღაც მნიშვნელოვანი თათბირი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წევრების მონაწილეობით. შევხედე საათს: მოასწრებს გამსახურდია ჩემს მიღებას თათბირამდე, თუ ვერა. გამოდიოდა, რომ თუ მოასწრებს კიდეც, სულ რაღაც ხუთი წუთით... მდივანმა შეიხედა პრეზიდენტის კაბინეტის კარში და, ეტყობა, მიიღო ნებართვა, მიიწვია შეკრებილები შესულიყვნენ მასთან... მისაღები დაცარიელდა, მე მჭირდროდ ჩავჯექი სავარძელში. თათბირი გამსახურდიასთან შეიძლებოდა გაგრძელებულიყო ერთი საათი, ხალხის ასეთი სიმრავლის დროს კი — ორი და შეიძლება სამი საათიც. ერთი სიტყვით, მოვემზადე ლოდინისთვის.

უეცრად მდივნის მაგიდაზე გაისმა შიდა კავშირგაბმულობის ტელეფონის ზარის ხმა. გოგონამ აიღო ყურმილი, რამდენიმე სიტყვა გაცვალეს ერთმანეთთან, შემდეგ მოვიდა ჩემთან და გამომიცხადა: „თქვენ გთხოვენ, შეხვიდეთ!..“

შევედი კაბინეტში და ირგვლივ მიმოვიხედე. მე ვიყავი ნამყოფი ამ დიდ და ნათელ ოთახში, რომელიც ოდესღაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პავლე გილაშვილს ეკავა. იმ დღეს მისი ხელიდან მივიღე საპატიო ნიშნის ორდენი — მოსკოვში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე მუშაობისათვის. ახლა დიდ საწერ მაგიდას უზის გამსახურდია. მისგან მარცხნივ მეორე „სხდომის“ მაგიდას უსხედან უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელები. პრეზიდენტმა ჟესტით მიმიწვია მივსულიყავი ახლოს, შემომთავაზა სკამი. მე გავიმეორე ნათქვამი: ხვალ დილით ადრე მივფრინავ მოსკოვში, სადაც უნდა შევხვდე საბერძნეთის ელჩს. კვლავ ვსვამ შეკითხვას: ხომ არ სურს ბატონ ზვიადს, გადავცე რაიმე საბერძნეთის ელჩს. „მე ვიცი, რომ მალე მოსკოვში სახელმწიფო ვიზიტით უნდა ჩავიდეს საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი კონსტანტინ მიცოტაკისი, — ვთქვი მე. — იქნებ, გსურთ, მოიწვიოთ პრემიერი თბილისში, ასეთი ვიზიტი უკიდურესად მნიშვნელოვანი იქნებოდა“. რეაქცია მეტად კეთილგანწყობილი იყო და... მოულოდნელიც. ზვიადმა აღტაცებით წარმოთქვა: „დიახ, დიახ, გადაეცით, აუცილებლად გადაეცით მას ჩემი მოწვევა. უთხარით, რომ ჩვენ ყველაფრისთვის ვართ მზად. დიახ, ყველაფრისთვის. ოღონდ ჩამოვიდეს“.

თითქოსდა, ყველაფერი ნათქვამია. როდესაც გადავწყვიტე, რომ აუდიენცია დამთავრდა, ავდექი და დავიწყე მათთან დამშვიდობება. და ამ დროს ზვიად გამსახურდიამ მიმართა უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელებს სიტყვებით, რომლებმაც ერთობ გამაოცეს: „ეს არის ბატონი ანასტასიადი, — თქვა პრეზიდენტმა, — ის მიდის მოსკოვში, საბერნეთის საელჩოში, რათა მოაწესრიგოს საბერძნეთ-საქართველოს ურთიერთობანი“. ყველამ ინტერესით შემომხედა. „ეს რა სპექტაკლია ასეთი? ნუთუ პრეზიდენტს სურს, ჩემი დახმარებით შექმნას ილუზია, თითქოს მართვის ყველა სადავეს უჭირავს ხელში, მათ შორის საგარეო პოლიტიკური ძაფები მის ხელთაა?“ — გაოცებული ვიყავი მე. „სხდომის“ მაგიდიდან წამოხტა თედო პაატაშვილი: „ეს როგორ, თქვენ ამ საკითხზე მუშაობთ?“ — მკითხა მან გაოცებულმა. მე არაფერი მრჩებოდა იმის გარდა, რომ დამედასტურებინა პრეზიდენტის სიტყვები.

ზვიად გამსახურდიას რეზიდენციას მე ვტოვებდი მღელვარებისა და ბუნდოვანი შეშფოთების შერეული გრძნობებით. სულ არ ველოდი, რომ პრეზიდენტი თავის უახლოეს თანამებრძოლებს გაუწევს ჩემს შესახებ რეკომენდაციას, როგორც ადამიანს, რომელიც ასეთ საპასუხისმგებლო მისიას ასრულებს. პრეზიდენტის კაბინეტში ჩვენი ხანმოკლე ურთიერთობიდან მე შემეძლო, მხოლოდ ერთი დასკვნა გამეკეთებინა: **საქმეები მმართველ გუნდში მიმდინარეობს არცთუ ისე კარგად, თავად პრეზიდენტი ილუზიების სამყაროშია, მარჯვენამ კი არ იცის, თუ რას აკეთებს მარცხენა... და მთლიანად საქართველოს მომავალი იმ საღამოს არც თუ ისე ბრწყინვალე ფერებში წარმომედგინა.**

სამაგიეროდ ჩიტლოვთან სტუმრად მე მოვხვდი, თუმცა, პატარა დაგვიანებით: მეტრო ცუდად მუშაობდა.

და აი, მოსკოვიც. ელჩთან ილიას გუნარისთან საუბრის დროს შევეცადე, რაც შეიძლება დამაჯერებლად გამომეთქვა აზრები და დასკვნები საქართველოში საბერძნეთის მთავრობის ხელმძღვანელის ვიზიტის მნიშვნელობის შესახებ. გუნარისმა თქვა, რომ აუცილებლად მიაწოდებს ინფორმაციას კონსტანტინ მიცოტაკისს ზვიადისგან მოწვევის შესახებ. მაგრამ, ვაი რომ, **ეს ვიზიტი, როგორც ვიცით, არ შედგა. და არ შედგა, რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ ეს არ სურდა გუნარისს ან თვით პრემიერ მიცოტაკისს. ვფიქრობ, მიზეზი სხვა რამეა — თეთრი სახლის მეტად მკაფიო პოზიციის გამო, რომელსაც იმ წლებში ძალიან აღელვებდა საბჭოთა კავშირის უმართავი დაშლა და მის ნანგრევებში უამრავი სახელმწიფოს წარმოქმნა ბირთვული იარაღის გაუკონტროლებელი მარაგებით. და ვაშინგტონიდან მოვიდა შესაბამისი უარყოფა.**

რა იყო შემდეგ? ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ — პოლონეთის გაზეთის „ექსპრეს ვეჩერნის“ კორესპონდენტმა ბოლესლავ პოროვსკიმ, რომელიც თავიდან ბოლომდე ადევნებდა თვალყურს კონსტანტინ მიცოტაკისის ვიზიტს სსრ კავშირში, ჩემი თხოვნით, მოსკოვში პრესკონფერენციაზე დაუსვა ის საკრამენტული შეკითხვა: ხომ არ აპირებს ბერძენი პრემიერ-მინისტრი მაინც ჩავიდეს ვიზიტით საქართველოში? პასუხად მიცოტაკისმა თქვა, რომ **საბერძნეთი საბჭოთა კავშირის დაშლის წინააღმდეგია და არ აღიარებს ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებიც მის ტერიტორიაზე წარმოიქმნენ.** თქვა ისე მტკიცედ, როგორც, ალბათ, იტყოდა რომელიმე საოლქო პარტიული ფუნქციონერი მაშინდელ სსრ კავშირში, რის შესახებაც ირონიულად მომწერა თავის მეგობრულ წერილში ჟურნალისტმა ბოლესლავ პოროვსკიმ.

თბილისის ომი, რომელიც ზვიად გამსახურდიას დამარცხებით დამთავრდა, დაიწყო 1991 წლის 22 დეკემბერს და დამთავრდა 1992 წლის 6 იანვარს. მაგრამ მან განსაკუთრებული კვალი დაამჩნია საქართველოს მთელ პოსტსაბჭოურ ისტორიას. ბევრს მიაჩნია, რომ სწორედ კანონიერად არჩეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ჩამოგდებამ გამოიწვია შემდგომი დრამატული კოლიზიები ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს ბიოგრაფიაში: ძმათამკვლელი ომები, ტერიტორიული აქტები, ეროვნებათშორისი კონფლიქტები, სეპარატიზმი, 2003 წელს პრეზიდენტის პოსტიდან ედუარდ შევარდნაძის გადაყენება და ა. შ. „ვარდების რევოლუცია“, რომელიც, რაღა თქმა უნდა, სახელმწიფო გადატიალება იყო... ან იქნებ, ყველა ამ სამწუხარო მოვლენას ბიძგი მისცა გამსახურდიას არა ჩამოგდებამ, არამედ სწორედ აღმასვლამ ამ პოსტზე? ვინ იცის? რაც უნდა ყოფილიყო, მოვლენები საქართველოში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვითარდებოდა დომინოს პრინციპით: ერთმა სამწუხარო ამბავმა მეორე გამოიწვია. და მხოლოდ პარლამენტის არჩევნებმა 2012 წელს, როგორც ჩანს, დაუსვა წერტილი ამ დრამატულ რიგს. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა ამის იმედი გვქონდეს.

ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

დასასრული. დასაწყისი იხ. № 149-150

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №222

სიმონიკა დადიანის დაბრუნებისთვის...

გასული საუკუნის 50-იანი წლების ნიუ-იორკში, „Montess Calery"-ის გამოფენაზე, უცხო წარმომავლობის და უცნობი გვარის ახალგაზრდა კაცმა **სვიმონ (პეტრე) დადიანმა,** რომელიც აფიშაზე ამერიკელ მხატვრად სახელდებოდა, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და, საგანგებო პრემიაც გადასცეს.

ჟურნალი „Art gigost" წერდა: **„გამოფენაზე ექსპონირებული 19 მხატვრის ნამუშევრები წარმოდგენას გვიქმნის ამერიკის თანამედროვე ქანდაკებაზე... ამ შესანიშნავ გამოფენაზე არის განსაკუთრებული, სრულყოფილი ნამუშევრები"...** (აქ მოხსენიებულია სვიმონ დადიანი).

„დადიანის ნამუშევრებში გამოყენებულია სტილიზაციის მთელი სისტემა, რომელიც მოდილიანის სტილიზაციას მოგვაგონებს. მისი ქანდაკების დახვეწილი აბსტრაქტული ფორმები ადამიანის სხეულის ანატომიის ცოდნას ეფუძნება. ავლენს ავტორის იუმორის გრძნობას და განსაკუთრებული ძალით გადმოსცემს პიროვნების ხასიათის თავისებურებებს"...

ამის შემდეგ, შეერთებული შტატების ქალაქის საგამოფენო დარბაზებში, პერმანენტულად იფინებოდა დადიანის ქანდაკებები და ფერწერული ტილოები.

* * *

ფრაგმენტები სვიმონ დადიანის კერძო გარათებიდან: **„ჩემი ნამუშევრებიდან ზოგი მომწონს, ზოგი არა, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ კეთდება. გემოვნება ვითარდება მუშაობაში და დიდ ხელოვანთა ნამუშევრების შესწავლაში. ამას დრო უნდა, მოთმინება და დიდი თავმდაბლობა"... იმ დღეს, როცა ჩემი ნამუშევარი დამაკმაყოფილებს, სულ მივატოვებ, რადგან ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ წინ გაწევა უკვე აღარ შემიძლია..."**

...„ვმუშაობ მევრს და ნელ-ნელა იყიდება. თუმცა, ჩემი სურვილია მევრი ნამუშევარი მოვაგროვო და პარიზში გამოფენა მოვაწყო...

...ოცნებაში გადავედი... იქნებ ჩემი ყოველი ნამუშევარი მამის (კოკი დადიანის) სახლში ერთად ეკიდოს ან ბაბუის (გიორგი შარვაშიძის) ზღვისპირა სახლში მოვათავსო... ჩემი წიგნებიც და ვინ იცის, კიდევ რამდენი ნამუშევარი..."

* * *

ხელოვნების ისტორიაში მრავალი ბიოგრაფიული ლეგენდა დაიწერა...

და მაინც, როგორ იქმნება მხატვრის სახელი? მაშინაც კი, როცა მხატვრის ცხოვრება რიგითობის ნაკადში, ჩვეულებრივად მიედინება, პარალელურ ბიოგრაფიებს ქმნიან... დროის მერე კი ძნელი გასამიჯნია: სად მთავრდება სინამდვილე და სად იწყება მითი.

სვიმონ დადიანის, როგორც მას საქართველოში უწოდებდნენ **სიმონიკა დადიანის** ბიოგრაფია ის ნამდვილი, მძაფრი სიუჟეტია, რაზეც ალბათ რომანები უნდა დაიწეროს, გადაიღონ ფილმები, დარჩეს სალონური საუბრების მუდმივ ელიტურ თემად.

გაოცებული ვარ, როცა მის ქართულენოვან წერილებს ვკითხულობ. თანამედროვე სალიტერატურო ენის გარდა, ძველი ქართული დამწერლობის შრიფტებიც შეუსწავლელია... დიახ, გაოცებული ვარ, რადგან იგი მხოლოდ და მხოლოდ ხუთი წლის იყო, როცა 1921 წელს, მშობლებთან და და-ძმებთან ერთად, საქართველო დატოვა, ჩვენი ემიგრაციის ცნობილი მარშრუტით: ბათუმი – კონსტანტინოპოლი – მარსელი – პარიზი...

* * *

სვიმონის მამა: **კოკი დადიანი,** სენაკის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი, მარშალი, ეროვნული მოღვაწე, საფრანგეთში მოძრაობა „ქართლოსის"დამაარსებელი.

დედა: **მერი წერეთელი,** იმერეთის მეფის სოლომონის შთამომავალი.

დიდი ბაბუა: **მიხეილ შარვაშიძე,** აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი...

ცნობილია დადიანების ოჯახის რთული ბედი ემიგრაციაში. ვიქტორ ნოზაძის სიტყვებით, **„ძალიან სევდიანი თვალები ჰქონდაო კოკი დადიანს"...**

სვიმონ დადიანი სამხატვრო განათლებას ჯერ პარიზში იღებს, შემდეგ შეერთებულ შტატებსა და იქვე რჩება საცხოვრებლად. II მსოფლიო ომის დროს სვიმონ დადიანი ამერიკელი ჯარისკაცია. ევროპაში მოქმედ ამერიკელთა დესანტის შემადგენლობაში გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ იბრძვის.

პარადოქსია და მისი ძმა **მიხეილ დადიანი** ამავე პერიოდში მესამე რაიხის რიგებშია. ბერგმანის ბატალიონის ლეიტენანტია და საბჭოთა რეჟიმის დამარცხებაზე ოცნებობს.

დისშვილი **გიორგი** კი საბჭოთა ქვეყანაში, სამამულო ომის ფრონტებზე, გერმანელების წინააღმდეგ თავგანწირვით იბრძვის...

იმავე წლებში ანადგურებენ მისი უფროსი დის **ბაბო დადიანის** ოჯახს. დაუხვრიტეს მეუღლე, დაუხვრიტეს ბაბუა, გადაუსახლეს ბიძა, თავადაც გამოასახლეს ბინიდან... რამდენიმე წლის მერე კი შვილებთან ერთად, ეტაპით გადაასახლეს.

სიმონიკა დადიანი პარიზში

ამ დროს უკვე ხანდაზმული მამა კოკი დადიანი საფრანგეთს პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი, ეროვნულ სულისკვეთებას უნერგავს ახალგაზრდა ემიგრანტებს...

ძნელია თქმა, ასე ცალ-ცალკე, ვინ, სად, რა ფორმით იბრძვის, მარცხდება თუ იმარჯვებს დადიანთა ამ ტრადიციული ოჯახიდან...

* * *

ფოტოსურათზე პატარა და-ძმებია აღბეჭდილი: გიორგი, მია და სიმონიკა დადიანები. ასეთები იყვნენ, როცა საქართველო დატოვეს... უფროსი და **ბაბო დადიანი,** მეუღლესთან, ლონდონში განსწავლულ **ალიოშა მახსარაშვილთან** ერთად, კონსტანტინოპოლიდან თბილისში დაბრუნდა.

აქ მათი გზები დიდი ხნით გაიყარა. გავიდა დრო და ორმოცდასამწლიანი განშორების შემდეგ ბაბო დადიანი თავის და-ძმებს საფრანგეთში მოინახულებს. სანფრანცისკოდან პარიზში საგანგებოდ ჩავა უმცროსი ძმა სიმონიკა დადიანიც...

სიმონიკა დადიანის წერილიდან:

„ჩემო ბაბოშკა, შენმა ნახვამ, თუმცა ასე მოკლედ, წაშალა იმ ყველა წლის განშორება და ისე ახლოს მოგიყვანა, რომ ძნელი დასაჯერებელია... ახლა როცა წახვედი, სულ შენს ხსენებაში ვართ...

ჩემს სურათებს შენი შვილიშვილებისთვის ვაგროვებდი... გაჩუქებას ამის გამო გადავეჩვიე... იმდენი ნამუშევარი მომიგროვდა, დასადგომ ადგილს ვერ ვნახულობ...

შენ მალე შვილიშვილების ქორწილს დაესწრები. მე კი, თუ მეღირსა, მაშინ ლეკურს დავუვლი... და ეს ჩემი ბავშვობის მერე პირველად იქნება... სულ პატარა ვიყავი, ვოქვი, ლეკურს მარტო სამეგრელოში ვიცეკვებ-მეთქი. და ასე დარჩა...

ამას წინათ ვათვალიერებდი შენს გამოგზავნილ ღია ბარათებსაც. მარტვილის სურათები გამომიგზავნე, თუ იყოს...

* * *

სვიმონ დადიანს სან-ფრანცისკოში, თავის ბინაში ერთი მისთვის ძალიან ძვირფასი საგანი ჰქონდა: **უბრალო თიხის ქოთანი, რომელშიც მშობლიური სოფლიდან – ნოსირიდან წამოღებული მიწა იყო შენახული...**

გარდაიცვალა 1974 წელს, იქვე, სანფრანცისკოში, ორმოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში, სისხლის მძიმე სნეულებით. თავისი ავადმყოფობა ახლობლებისთვის არ გაუმხელია... არც დებისთვის, არც ძმებისთვის... თითქოს უეცრად გაქრა მათი ცხოვრებიდან...

ცოტა ხნით ადრე კი სამძიმრის წერილი გაუგზავნა სიძეს – დისშვილის თათულის მეუღლეს თენგიზ ღვინიაშვილს:

„ჩემო თენგიზ, ეს არის გავიგე, რომ მამაშენი გარდაიცვალა. ვიცი, შენი გულის განცდა და თანაც ვიცი, რომ არ არის ის სიტყვა, რომლითაც შემეძლოს ცოტა მაინც შენი სიმწარე წავშალო, მაგრამ არასდროს დაგავიწყდეს, რომ მან შენი ბედნიერება ნახა, ოჯახის და შვილიშვილების თბილი სიყვარული იგრძნო და მის მიწაში მიასაფლავე... და მის ლოდზე არ დაიწერება: „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე"... გეხვევი, შენი სვიმონი".

* * *

...სასაფლაოს ლოდების გარინდებული მდუმარება... ეპიტაფიათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და სულისშემძვრელი წარწერა კოკი დადიანის საფლავის ქვაზე, ლევილის ქართველთა პანთეონში:

„მითხარ შენდობა და ჩემს მხარესა
ოდეს მოუთხრობ ამბავს მწარესა,
სთქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე:
ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე"...


გიორგი, მია და სიმონიკა დადიანები

სიმონიკა დადიანი ამერიკელი ჯარისკაცის ფორმაში

სიმონიკა დადიანიც მამის ხვედრს გაიზიარებს. 1974 წელს სან-ფრანცისკოს ერთ ძველ, შორეულ სასაფლაოზე დაკრძალავენ... ის დიდი ხნის ოცნებას ვერ აისრულებს: საქართველოში, მამისეულ მეგრულ ოდაში ან აფხაზეთში ბაბუის, შარვაშიძეთა სოხუმურ ვილაში ვერ ჩამოკიდებს თავის ნახატებს...

გადის წლები და თანდათან ბუნდოვანდება სვიმონ დადიანის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ზუსტი ნუსხა თუ ადგილმდებარეობა. თუ არ ვიგულისხმებთ რამდენიმე ნამუშევარს შეერთებული შტატების ქალაქების მუზეუმებში დაცულს და პარიზსა თუ ამერიკაში, ბოლომდე დაუდგენელი პირების კერძო კოლექციებს...

გადის წლები და თანდათან დავიწყებას ეძლევა სვიმონ დადიანის, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო მხატვრის, შემოქმედება, რომელმაც სახვითი ხელოვნების ტრადიციების ღრმა, საფუძვლიან ცოდნასთან ერთად ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი ნოვაციები გაითვალისწინა და სრულიად დამოუკიდებელი საკუთარი, მრავალფეროვანი სამყარო შექმნა.

* * *

და გოლოს, ამდენი სევდიანი აკორდის მერე, ქართველი მკითხველისთვის რაღაც ძალიან კარგი გაიუღერებს. სწორედ ეს სასიხარულო ცნობა გახლავთ ჩვენი წერილის დაწერის საბაბიც: პარიზში მცხოვრებმა ქალბატონმა, კოკი დადიანის დის შვილიშვილმა **ლია გოგიტიძემ (ვოდემმა)** სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ სვიმონ დადიანის შემოქმედების დიდი ნაწილი საფრანგეთში, ერთ კონკრეტულ ადგილასაა შენახული, მათ შორის, ამერიკულ გამოფენაზე პრემირებული ქანდაკებაც „შავი ტორსი“.

ქალბატონი ლია მხატვრის შემოქმედების საქართველოსთვის გადმოცემის სურვილს გამოთქვამს.

ეს იქნება სიმონიკა დადიანის სიმბოლური დაბრუნება საქართველოში, 93 წლის განშორების შემდეგ და ეს იქნება დიდი წვლილიც საქართველოს ხელოვნების საგანძურში...

იმედია, ამ ქანდაკებებისა თუ ფერწერული ტილოების სათანადო დაცულობით ჩამოტანისთვის დაინტერესდება **საქართველოს კულტურის სამინისტრო, ცალკეული მეცენატებიც...** თბილისში გაიმართება პერსონალური გამოფენა, დაიბეჭდება კატალოგი.

საპატრიარქოს ტელევიზია **„ერთსულოვნებასთან“** არსებულმა სტუდია **„ავტოგრაფმა“** უკვე დაიწყო ფილმზე მუშაობა და ეტაპობრივად გადაიღებს ნამუშევრების ჩამოტანის თუ ექსპონირების დეტალებს.


სიმონიკა დადიანი სახელოსნოში

იმედს გამოვთქვამთ, რომ გამოინახება სათანადო სამუზეუმო სივრცე, იქნებ ამჟამად მშენებარე თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, რომელსაც ქართველ მხატვართა ქომაგი და მეცენატი **გია ჯოხთაბერიძე** აფუძნებს.

თავის სიტყვას იტყვიან ხელოვნებათმცოდნეებიც და სვიმონ დადიანს კუთვნილ ადგილს მიუჩენენ ქართული ხელოვნების ისტორიაში...

იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართულ ეკლესიებში აღავლენენ ლოცვას დაკარგული შვილის სიმონიკა დადიანის სულისთვის... ცალკე პანაშვიდს გადაუხდიან მარტვილის დედა ღვთისმშობლის ტაძარშიც...

...„ყოველსა კაცსა მიიყვან სახლსა შინა“... ეს ფრაზა სიმონიკა დადიანის ძველ, გაცრეცილ, უბის წიგნაკში ამოვიკითხეთ...

იქვე რაღაც თარიღებიც წერია, მაგრამ დროთა მსვლელობისგან გადაშლილია და ძნელად გასარჩევი...

ნინო ხოფერია.

მილიარდობით ახალი პლანეტა...

ჩვენს პოლიტიზებულ დედამიწაზე უკვე ძალიან იშვიათად იყურებიან მაღლა, ვარსკვლავებისკენ...

„ორი რამ მაკვირვებს ამქვეყნად: ვარსკვლავიანი ცა ჩვენს ზემოთ და ზნეობრივი კანონი ჩვენში“. – ამ სიტყვების ავტორის იმანუელ კანტის სამშობლოში, ჟურნალმა „შპიგელმა“ ცოტა ხნის წინათ კოსმოსური ტელესკოპის „კეპლერის“ დაკვირვების საოცარი შედეგები გამოაქვეყნა.

სინამდვილეში დედამიწის მსგავსი პლანეტები ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ამის დაშვება ადამიანს შეუძლია. იანვარში გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით ივარაუდება, რომ მარტო ჩვენს გალაკტიკაში მილიარდობით დედამიწის მაგვარი პლანეტა უნდა იყოს.

დედამიწის მსგავსი პლანეტებიც ისევე არიან თავიანთი მთავარი ვარსკვლავებისგან დაშორებულნი, როგორც თავად დედამიწა მზისგან. ასეთი დაშორებით შესაძლებელი უნდა იყოს პლანეტებზე წყლის არსებობა და შესაბამისად, თვით სიცოცხლის არსებობაც. სიცოცხლისთვის დაუშვებელია პლანეტები თავის ვარსკვლავებთან ან უფრო ახლოს იყვნენ ან უფრო შორს. კოსმოსურ ტელესკოპ **„კეპლერის“** დაკვირვებებმა განსაცვიფრებელი შედეგი აჩვენა: **ჩვენს ირგვლივ მზის მსგავს ყოველ მეხუთე ვარსკვლავს თავის „სასიცოცხლო ზონაში“ დედამიწის მსგავსი პლანეტა გააჩნია.**

„თუ ჩვენ ღამით ათასობით ვარსკვლავს ავხედავთ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ახლოს მყოფი მზის მაგვარი ვარსკვლავი, თავისი დედამიწის ზომის პლანეტით, ჩვენგან სულ რაღაც 12 სინათლის წლითაა დაშორებული. ეს განსაცვიფრებელია!“ – ამბობს ერიკ პეტიგურა, კალიფორნიის ქალაქ ბერკლის უნივერსიტეტის ასპირანტი. სინათლის წელი არის მანძილი, რომელსაც სინათლე ერთი წლის განმავლობაში გადის. ვარსკვლავთა ჯგუფის „ირმის ნახტომის“ დიამეტრი დაახლოებით 100 ათასი სინათლის წელია.

პეტიგურა თავის კოლეგებთან ერთად ჟურნალ **„Proceeedings of the National Academy of Sciences“**-ში „კეპლერის“ მონაცემები გამოაქვეყნა. რამდენიმე წლის მანძილზე ტელესკოპი დაახლოებით 150 ათას ვარსკვლავს დააკვირდა. აღმოჩენილია დედამიწის ტყუპისცალი „კეპლერ-78ბ“ და სისტემა შვიდი პლანეტით.

ამას გარდა, პეტიგურას ჯგუფი დაინტერესდა გალაქტიკის სხვა „სასიცოცხლო ზონების“ აღმოჩენითაც. 150 ათასიდან იდენტიფიცირებულია 42 ათასი ვარსკვლავი, რომლებიც ძალიან გვანან ჩვენს მზეს ან ზომით ოდნავ განსხვავებულნი არიან ან შედარებით უფრო ცივი. მათ ორბიტაზე „კეპლერმა“ მთლიანობაში 603 პლანეტობის „კანდიდატი“ აღმოაჩინა. ათი მათგანი დაახლოებით დედამიწის ზომისაა და ისინი თავის ვარსკვლავებს ე.წ. „სასიცოცხლო ზონის“ ფარგლებში გარს უვლიან, ანუ იქ, სადაც სიცოცხლისთვის აუცილებელი ტემპერატურაა.

ანალიზში მკვლევარებმა გაითვალისწინეს, რომ „კეპლერს“ ყველა პლანეტის და სისტემის აღმოჩენა არ შეეძლო. მკვლევარებმა დასაშვებად ჩათვალეს, რომ მზის მსგავსი ვარსკვლავების საერთო რაოდენობა, რომელთა „სასიცოცხლო ზონებში“ დედამიწის მსგავსი პლანეტებია, სულ სადღაც 22% უნდა იყოს. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ მთლიანობაში „ირმის ნახტომში“ მზის მსგავსი 100 მილიარდი ვარსკვლავი და მათ „სასიცოხლო ზონებში“ არსებული დედამიწის მსგავსი პლანეტების ორჯერ მეტი რაოდენობაა.

თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ყველა ეს პლანეტა სიცოცხლისთვის შესაფერისია. „ზოგიერთ მათგანს, ალბათ, მკვრივი ატმოსფერო აქვს და ძალიან ცხელა“, – განმარტავს პროექტის თანაავტორი ჯეფრი მარკი. **„სხვა პლანეტებზე შეიძლება უფრო კლდოვანი წარმონაქმნი იყოს. შეიძლება იყოს წყალიც და შესაბამისად სიცოცხლეც.“** ასევე დღემდე დაუდგენელია, როგორი ალბათობაა დასაშვები „სასიცოცხლო ზონებში“ სიცოცხლის წარმოშობის შესახებ.

„პირველი ექსტრასოლარული პლანეტის აღმოჩენას თითქმის 20 წელი დაეთმო“, – ამბობს პროექტის მესამე თანაავტორი ენდრიუ ჰოვარდი, ჰავაის უნივერსიტეტიდან. **მას შემდეგ დადგინდა, რომ არსებობს სხვადასხვა ზომის დედამიწის მსგავსი პლანეტები. მათგან უმეტესობაზე სიცოცხლისთვის შეუფერებლად მაღალი ტემპერატურაა. ამ ახალი კვლევის შედეგით გარკვეულწილად სურათი მთლიანდება, რადგან ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ჩვენი პლანეტის მსგავსი სხვა პლანეტები საკმაოდ მრავლადაა „ირმის ნახტომში“.**

სურათზე: დედამიწა და აღმოჩენილი პლანეტა „კეპლერ-78ბ“



◎ ᲓᲦᲔᲕᲜᲓᲔᲚᲝᲑᲐ... ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲔᲚᲝᲓᲜᲔᲜ ᲫᲕᲔᲚᲘ ტᲘᲞᲘᲡ ტᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚ ᲝᲛᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ტᲘᲞᲘᲡ ᲝᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲓ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ მსოფლიო ომის დაწყებიდან 100 წელი გავიდა და ისტორიკოსები დღემდე დავობენ მისი დაწყების მიზეზებზე. ამავე დროს, ასი წლის წინანდელი ამბები დღესაც აქტუალურია, რადგან, ზოგის აზრით, ვითარებას დღევანდელ მსოფლიოში ბევრი საერთო აქვს პირველი მსოფლიო ომის წინანდელ ევროპასთან. რადიო თავისუფლების ბალკანეთის სერვისის კორესპონდენტმა ᲓᲠᲐᲒᲐᲜ ᲡᲢᲐᲕᲚᲘᲐᲜᲘᲜᲛᲐ ამ პერიოდის წამყვან მკვლევრებს ჰკითხა, თუ როგორ დაიწყო, მათი აზრით, კატასტროფული კონფლიქტი და შეიძლება თუ არა პარალელების გავლება დღევანდელ ვითარებასთან.

ᲐᲜᲘᲙᲐ ᲛᲝᲛᲑᲐᲣᲔᲠᲘ, ლონდონის ღია უნივერსიტეტის უფროსი ლექტორი და პირველ მსოფლიო ომზე დაწერილი არაერთი სტატიისა და წიგნის ავტორი, მიიჩნევს, რომ ერთი ქვეყნისაკენ გადაჭრით თითის გაშვერა არ შეიძლება. ომს მთელ ევროპაში ელოდნენ, ხშირად სულმოუთქმელადაც:

> **„ევროპის ბევრი ლიდერი და ჩვეულებრივი მოქალაქეც მიიჩნევდა, რომ ადრე თუ გვიან ომი დაიწყებოდა. ამის მიზეზი სოციალური დარვინიზმიც იყო — რწმენა, რომ დიდ ძალას საბოლოოდ მოუწევდა დაპირისპირება სხვა ძალებთან და მათი დამარცხება, რათა დიდი ძალის სტატუსი შეენარჩუნებინა. ევროპაში ბევრ ლიდერს უნდოდა ომი და მათი მოძებნა არც ერთი დიდი ძალის დედაქალაქში არ გაჭირდებოდა, თუმცა, მათი დიდი ნაწილი მართლაც თავს იყრიდა ვენასა და ბერლინში. ბევრგან გაიგებდით: „აჰ, ნეტავ ომი მანამდე დაიწყებოდეს, ვიდრე მე პენსიაში გავალ“.**

პირველ რიგში ვენასა და ბერლინს ახსენებს **ᲒᲔᲠᲰᲐᲠᲓ ᲰᲘᲠᲨᲤᲔᲚᲓᲘᲪ,** შტუტგარტის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი და ავტორი წიგნისა „გერმანია პირველ მსოფლიო ომში“:

> **„თუ პასუხისმგებელ პირთა სიას ჩამოწერ, ის ყოველთვის დაიწყება ულტიმატუმით, რომელიც ვენის მთავრობამ გაუგზავნა სერბებს და, რაც მთავარია, კარტბლანშით, რომელიც მას გერმანიამ მისცა. გერმანიამ ვენას უთხრა, რაც გინდათ, ქენით, ოღონდ სერბეთის საკითხი საბოლოოდ გადაჭერითო. ისინი მე-19 საუკუნის ტიპის ტრადიციულ ომს ელოდნენ, თუმცა მიიღეს ახალი ტიპის ომი, რომელიც მათთვის ყოვლად გაუგებარი აღმოჩნდა“.**

სხვა მკვლევართა აზრით კი, მხოლოდ გერმანიისა და ავსტრიის დადანაშაულება არასწორი იქნებოდა. **ᲯᲝᲔᲠᲜ ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲘ,** ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი და ავტორი წიგნისა „პანდორას ყუთი: პირველი მსოფლიო ომის ისტორია“, ამბობს, რომ არ არსებობს რაღაც განსაკუთრებული გერმანული დანაშაული და საჭიროა იმდროინდელი ვითარების უფრო სიღრმისეული ანალიზი:

> **„მე მგონი, ამ მსჯელობას დანაშაულის გრძნობაზე ომთან დაკავშირებით არასაჭირო მორალური სარჩული აქვს და ახლა უფრო უტყუარი ისტორიული ანალიზი გვჭირდება. და თუ ამ ანალიზს მივყვებით, ვნახავთ, რომ ბევრი სხვადასხვა პასუხისმგებლობა გამოიკვეთება. გერმანიის მიერ ავსტრიისთვის მიცემული კარტბლანში მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი იყო რუსეთის კარტბლანში, სერბებისთვის მინიჭებული, რის გარეშეც სერბები ულტიმატუმს ვერ გასცემდნენ ისეთ პასუხს, როგორიც გასცეს. ამას ემატება ასევე ერთგვარი კარტბლანში, რომელიც საფრანგეთმა მისცა რუსეთს“.**

სწორია თუ არა პარალელების გავლება 1914 წლის ზაფხულსა და 2014 წლის ზაფხულს შორის? შეიძლება, ვთქვათ, ვითარებამ უკრაინაში ან დაძაბულობამ ჩინეთსა და იაპონიას შორის შეასრულოს ერთგვარი დენთის კასრის როლი და ახალი მსოფლიო კონფლიქტი გამოიწვიოს? ისტორიკოსთა აზრები ამ თემასთან დაკავშირებით იყოფა. **ᲯᲝᲜ ᲙᲔᲘᲒᲔᲠᲘᲡ,** კემბრიჯის უნივერსიტეტის ევროპის ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორის, აზრით, მსგავსება იმდროინდელ მოვლენებსა და დღევანდელობას შორის, მართლაც, იკვეთება:

> **„კი, ვშიშობ, რომ, პესიმისტურად თუ მივუდგებით, პარალელების დანახვა შესაძლებელია. განსაკუთრებით თუ გადავხედავთ ვითარებას უკრაინაში ან ახლო აღმოსავლეთში, სადაც მოვლენები შეიძლება საშინლად განვითარდეს. ეროვნული ღირსების შელახვის ერთი ინციდენტი და ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს... ისეთივე ინციდენტი, როგორიც იყო ფრანც ფერდინანდის მკვლელობა. წინასწარ განსაზღვრა ძნელია, მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, უკრაინაში რუსეთის ელჩი რომ მოკლან? რა შეიძლება მოჰყვეს ამას?“**

ᲐᲜᲘᲙᲐ ᲛᲝᲛᲑᲐᲣᲔᲠᲘᲡ აზრით კი, პირდაპირი პარალელების გავლება არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანები წარსულს ითვალისწინებენ. მისი აზრით, ისტორიის გაკვეთილების ცოდნა დღეს ადვილი შესამჩნევია:

> **„არ ვიცი, რამდენად ვსწავლობთ ყველა ამ გაკვეთილს, მაგრამ მგონია, რომ ბევრი რამ ვისწავლეთ, რადგან ამწუთას ევროპაში დიდი ომი არ მინდინარეობს. ჩემი აზრით, ამის მიზეზი ისიცაა, რომ ჩვენ, მართლაც, ვსწავლობთ ისტორიისგან და ვითვალისწინებთ წარსულის გამოცდილებას. მაგრამ არა მგონია, შეიძლებოდეს წარსულში მომხდარი კრიზისი დღევანდელ კრიზისს პირდაპირ შევადაროთ“.**

თუმცა, სხვა ისტორიკოსების აზრით, წარსულის გაკვეთილების სწავლა არც ისე მარტივი საქმეა, რადგან ხშირად ადამიანები გაკვეთილებს არასწორად სწავლობენ. ამ აზრზეა, მაგალითად, **ᲨᲝᲜ ᲛᲐᲙᲛᲘᲙᲘᲜᲘ,** სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი და პირველ მსოფლიო ომზე დაწერილი ორი წიგნის ავტორი:

> **„ისტორია ზუსტად არასოდეს მეორდება. შეიძლება, გავავლოთ პარალელი ჩინეთსა და 1914 წლის გერმანიას შორის, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩინეთი შეიძლება იმდროინდელი რუსეთის ანალოგი იყოს. 1914 წელს რუსეთის ეკონომიკა წელიწადში 9 პროცენტით იზრდებოდა. სხვა პარალელების გავლებაც შეიძლება: ტრადიციული ისტორიოგრაფიის აზრით, მაშინდელი ევროპის დესტაბილიზაციას სწორედ რუსეთის ძალის ზრდა იწვევდა და არა გერმანიისა. ასე რომ, ხანდახან, როდესაც ისტორიის გაკვეთილის სწავლა გვინდა, არასწორად ვავლებთ ხოლმე პარალელებს და, საბოლოოდ, გაკვეთილს არასწორად ვსწავლობთ“.**

ᲜᲘᲙᲝ ᲜᲔᲠᲒᲐᲫᲔ,
რადიო „თავისუფლება“

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ



ᲢᲔᲚᲔᲡᲙᲝᲞᲘᲡ HUBBLE ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲘᲙᲐ — ᲚᲘᲜᲖᲐ

ეს გალაქტიკა მდებარეობს დედამიწიდან 9,6 მილიარდი სინათლის წლის დაშორებით და არის ყველაზე შორეული იმგვარი გალაქტიკებიდან, რაც დღეისთვისაა ცნობილი. ყველაზე არაჩვეულებრივი თვისება მან მიიღო უზარმაზარი მასის წყალობით, რის გამოც შუქი, რომელიც ობიექტების მახლობლად იმყოფება, მახინჯდება და იზრდება.

* * *

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲐᲢᲕᲘᲠᲗᲝ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲜᲫᲐᲜᲘᲗ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲟᲘᲠᲐᲤᲘᲡ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲐ

მომხდარით დაინტერესდა ცხოველებისადმი მკაცრი დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოება. მისმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „გამოყენებული ტრანსპორტი არ შეესაბამებოდა სათანადო მოთხოვნებს“, რომ გადაეყანათ ცხოველები. ცხოველთა დამცველებს ახლა განზრახული აქვთ, გადასცენ სისხლის სამართლის პასუხისმგებაში ჟირაფის დაღუპვის დამნაშავეები.

* * *

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲑᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠ ᲠᲐᲙᲔᲢᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲐᲙᲔᲢᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐᲡ

ცნობა ჩინეთის მიერ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტაზე მუშაობის დაწყების შესახებ, პირველად გაჩნდა ივნისში გამოქვეყნებულ პენტაგონის მოხსენებაში ჩინეთის შეიარაღებული ძალების მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების ანალიზით. მასში ნათქვამია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აუმჯობესებს თავისი შეიარაღების დონეს და აძლიერებს სამხედრო მომზადებას რასაც რეალური საფრთხე მოაქვს ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებისათვის.

* * *

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲛᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲖᲐᲕᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ „ᲰᲐᲛᲐᲡᲘᲡ“ ᲨᲝᲠᲘᲡ

ცეცხლის ჰუმანიტარული შეწყვეტის რეჟიმი 72 საათის ვადით გამოაცხადეს 1 აგვისტოს ღამით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰან გი მუნმა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ. ისრაელისა და „ჰამასის“ ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შეთანხმდნენ დაზავებაზე. ცეცხლის შეწყვეტა მხარეებს საშუალებას მისცემს დაიწყონ მოლაპარაკება.

სატენდერო მოწვევა

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III) **(P148048)**
სატენდერო მოწვევა **№SLRP III/CW/NCB-02**

სასადილო-ორხევი-ხევსურთსოფელის საავტომობილო გზის კმ18,5 -კმ21 (სიონის გადასახვევი, ორხევი-დორეულები) მონაკვეთის და ორხევი-სიონის საავტომობილო გზის კმ1-კმ2 მონაკვეთის რეაბილიტაცია (5.5კმ)

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტისთვის (შLRP III). აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება "სასადილო-ორხევი-ხევსურთსოფელის საავტომობილო გზის კმ18,5 -კმ21 (სიონის გადასახვევი, ორხევი-დორეულები) მონაკვეთის და ორხევი-სიონის საავტომობილო გზის კმ1-კმ2 მონაკვეთის რეაბილიტაციის (5.5კმ)" ასანაზღაურებლად.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რათა წინასწარი და მიწის სამუშოების განახორციელებლად და საფარის სარეაბილიტაციოდ დალუქული კონვერტებით წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების პერიოდია **15 თვე.**

3. სამუშოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი)" და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

4. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსს ბ-ნ ვახტანგ რაზმაძესს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10 საათიდან 17 საათამდე.

5. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ 2,700,000 (ორი მილიონ შვიდასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში ერთ-ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშოებს (სამუშოთა მინიმუმ 80% დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ 1,790,000 (ერთი მილიონ შვიდას ოთხმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

გ. არანაკლებ 40 000 m^2 საფარის სარეაბილიტაციო სამუშოების შესრულება უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში;

დ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების, გარდა ავანსისა, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ 300,000 (სამასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით.

6. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან მისი ექვივალენტის აშშ. დოლარში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიშის №001 189 362

აშშ. დოლარში გადახდისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მითითებული იქნას ს/გზის მონაკვეთის დასახელება).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

7. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 1 სექტემბრის 17:00 საათისა ადგილობრივი დროით**. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენტენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს **2014 წლის 1 სექტემბრის 17:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით.**

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ანუ 90 დღე+28 დღე=118 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

9. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
შესყიდვების სამმართველო, IV სართული, ოთახი 402
ბ-ნი ვახტანგ რაზმაძე, საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი
ტელ: + (995 32) 37-05-08 დამ. 255
ფაქსი: + (995 32) 31-30-34
ე-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

INVITATION FOR BIDS

Georgia
Third Secondary and Local Roads Project (SLRP III) (P148048)
Bid Invitation No: SLRPIII/CW/NCB-02

Sasadilo-Orkhevi-Khevsurtsopeli road km18.5-km21 (Pass of Sioni, Orkhevi-Doreulebi) & Orkhevi-Sioni road km1-km2 rehabilitation (5.5km)

1. Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Third Secondary and Local Road Project (SLRP III) and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contract for "Rehabilitation of the Secondary road Sasadilo-Orkhevi-Khevsurtsopeli road km18.5-km21 (Pass of Sioni, Orkhevi-Doreulebi) & Orkhevi-Sioni road km1-km2 rehabilitation (5.5km)"

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for execution of preliminary and soil works and rehabilitation of pavement. Implementation period for execution of rehabilitation works is **15 months**.

3. Procurement of works will be conducted through the procedures of National Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

4. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Mr. Vakhtang Razmadze, Head of Foreign Projects Department of the Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

5. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. average annual construction turnover of at least 2,700,000 GEL (Two Million Seven Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent over the last 5 (five) years;
b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 3 (three) years (at least 80 % of works should be complete) with a value of at least 1,790,000 GEL (One Million Seven Hundred Ninety Thousand Georgian Laris);
c. at least 40 000 m^2 of pavement rehabilitation works executed in any one year during the last 3 (three) years.
d. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;
e. Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 300,000 GEL (Three Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent.

6. A complete set of bidding documentation in English language may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)
If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

7. The Bids should be delivered at the address below not later than **September 01, 2014, 17:00 Hours local time.** Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend bid opening on **September 01, 2014, 17:00 Hours local time**.

8. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 90 days+28 days = 118 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

9. The Employer's address for the purpose of Bid submission is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Mr. Vakhtang Razmadze, Head of Foreign Projects Department
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 32) 37-05-08 ext.255
Fax: + (995 32) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web-page: www.georoad.ge

◎ ევროპის ლიგა

„ჩიხურამ“ ნაპირი გადმოლახა

დიახ, ქებათაქება სოსო ფრუიძის გუნდს, რომელიც ევროპულ სარბიელს გაუშინაურდა და განაგრძობს მეტოქეთა გაწბილებას.

საჩხერელთა ღირსებაზე ისიც მეტყველებს, რომ მათი დაუმარცხებელი შეხვედრების სერიას მშრალი თამაშიც ამკობს — მოგეხსენებათ, მეკარე მაქსიმე ქვილითაიას ჯერ გოლი არ გაუშვია.

„ნეფთჩი“ — „ჩიხურა“ 0:0.

ის, რაც თურქულ „ბურსასფორთან“ სენსაციად მოინათლა, ბაქოში უკვე კანონზომიერებად წარმოჩინდა და ტენდენციის სახეს იღებს, რაც არ შეიძლება არ ახარებდეს თანამემამულეთა ქრონიკული წარუმატებლობებით იმედგაცრუებულ ქართველ გულშემატკივარს.

რაც შეეხება უშუალოდ ბაქოში გამართულ მატჩს, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანის დედაქალაქში მასპინძლებს ტოლსწორად ებრძოდა ტაქტიკურად განსწავლული ახალგაზრდა მწვრთნელის მიერ დამოძღვრილი საკუთარ ძალებში დარწმუნებული სოლიდური სტუმარი, რომელსაც, რამდენიმე ეპიზოდში რომ გამართლებოდა, შეეძლო იქვე გადაეწყვიტა თავის სასარგებლოდ ორრაუნდიანი დუელის ბედი. ვიმედოვნებთ, ეს 7 აგვისტოს თბილისში საპასუხო შეხვედრაში მოხდება, მანამდე კი პირველი მატჩის შემდეგ განვითარებულ დამაფიქრებელ მოვლენებს, ქართული ოფიციოზის შეფასებებსა და მასპინძელთა პრეზიდენტის შეუფერებელ კომენტარს გაეცანით.

გია პლატონიშვილი

◎ ბოლმის ენით

სადიგ სადიგოვი: „ჩიხურა“ გუნდი არ არის

რაც შეეხება „ჩიხურას“, ეს გუნდი არაა, — ამის შესახებ ბაქოს „ნეფთჩის“ პრეზიდენტმა სადიგ სადიგოვმა „ნეფთჩი“ — „ჩიხურას“ მატჩის შემდეგ განაცხადა; აზერბაიჯანი და საქართველო მეგობრები არიან, მაგრამ „ჩიხურას“ ფანებმა რაღაც სეპარატისტული რუკა ჩამოკიდეს.

„რაც შეეხება მომხდარ ინციდენტს, ჩვენ ქართველებს დავეხმარეთ: ბაქოში მოუმზადებლები ჩამოვიდნენ, ავტობუსი არ შეუკვეთეს. აზერბაიჯანი და საქართველო მეგობრები არიან, მაგრამ „ჩიხურას“ ფანებმა რაღაც სეპარატისტული რუკა ჩამოკიდეს. რა საჭირო იყო ეს, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?“, — განაცხადა სადიგოვმა.

სადიგოვი დარწმუნებულია, რომ მომდევნო ეტაპზე სწორედ მისი გუნდი ითამაშებს.

„არ გამოგვივიდა თამაში, თუმცა კარგია, რომ გოლი არ გავუშვით. დაპირისპირების ბედს საქართველოში გადავწყვეტთ. დღეს კი, რაც ვნახეთ, ფეხბურთი არ იყო. მეტოქე მატჩის დიდი ნაწილი დაცვაში „იჯდა“. ჩვენ კი „ჩაკეტილი“ გუნდების წინააღმდეგ ცუდად ვთამაშობთ. ჩემი გუნდის მჯერა ისევე, როგორც „კოპერთან“ მატჩებში მჯეროდა. რაც შეეხება „ჩიხურას“, ეს გუნდი არაა. შინ „ჩიხურა“ დაცვით ფეხბურთს არ ითამაშებს. ჩვენ გვიყვარს შემტევი, გახსნილი ფეხბურთი. სავარაუდოდ, საპასუხო მატჩში ასე იქნება. „კოპერთან“ საპასუხო მატჩის წინ სიზმარი ვნახე, რომელიც ახდა. საქართველოშიც მოვიგებთ, როგორც სლოვენიაში გავიმარჯვეთ. მინიმუმ 2:1-ს მოვიგებთ. განვმეორდები, „ჩიხურა“ გუნდი არაა“, — განაცხადა სადიგოვმა.

გიორგი შოთაძე

◎ ოფიციოზი ასე ფიქრობს

მინისტრები ბაქოში მომხდარ ინციდენტს დაგეგმილ პროვოკაციად აფასებენ

მინისტრთა კაბინეტის წევრები საჩხერის „ჩიხურასა“ და აზერბაიჯანის „ნეფთჩის“ საფეხბურთო გუნდებს შორის მომხდარ ინციდენტს მიზანმიმართულ პროვოკაციას უკავშირებენ.

როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ლევან ყიფიანმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, მას სახელმწიფო მკაცრად ემიჯნება, „პროვოკატორი“ პირების დასადგენად კი შესაბამისი სამუშაოები უკვე ტარდება.

„ჩხუბი სტადიონებზე ხშირად ხდება, მაგრამ ის, რაც ჩვენ ვიხილეთ, ან უგუნურის გაკეთებული უნდა იყოს, ან პროვოკატორის. ჩვენ ვემიჯნებით და მკაცრად მოვეკიდებით ამ საკითხს — აუცილებელია გაირკვეს, ვინ არიან ის ადამიანები, რადგან მათი ქმედება არ შეესაბამება სპორტულ სანახაობას. მომხდარს შესაბამისი ორგანოები შეისწავლიან და დასკვნას ამის მერე გავაკეთებთ“, — განაცხადა ლევან ყიფიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე დარწმუნებულია, რომ ბაქოში მომხდარი ინციდენტი იყო პროვოკაცია.

„ვიღაცას უნდა ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის დაძაბვა. საქართველოს სპორტის სამინისტრო აზერბაიჯანულ მხარეს აუხსნის, რომ ამის უკან არ დგას სახელმწიფო, რასაკვირველია, ამის უკან არ დგანან არც გუნდის ჭეშმარიტი გულშემატკივრები. ეს იყო ვიღაცის ინდივიდუალური ქმედება, რომელიც წარმოადგენდა დაგეგმილ პროვოკაციას, მას აუცილებლად უნდა გაემიჯნოს ყველა. აზერბაიჯანი არის ჩვენი მეგობარი ქვეყანა და სრულიად მიუღებელია ასეთი პროვოკაციული გამოხდომებით ამ ურთიერთობების შელახვა“, — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

კობა კობახიძე

◎ ასე არ მეგობრობენ

დროშა, რომელიც ბაქოში დაპირისპირების მიზეზი გახდა, „ქართული სპორტის ქომაგებმა“ გამოფინეს

ბაქოს „ნეფთჩისა“ და საჩხერის „ჩიხურას“ მატჩზე დროშა, რომელიც დაპირისპირების მიზეზი გახდა, გულშემატკივრების გაერთიანებამ — „ქართული სპორტის ქომაგებმა“ გამოფინეს . ტრიბუნებზე გამოტანილ დროშაზე სწორედ აღნიშნული ფან-კლუბის ლოგო იყო დატანილი. ეს დროშა ქართული საფეხბურთო თუ სპორტის სხვა სახეობების ნაკრებებისა და გუნდების საერთაშორისო თამაშებზე თითქმის ყოველთვის არის ტრიბუნაზე გამოტანილი, რაც არაერთხელ გამხდარა მატჩის დელეგატების უკმაყოფილების მიზეზი. არსებული ინფორმაციით, ბოლო ასეთი შემთხვევა „ჩიხურა“ — „ბურსას“ მატჩის დროს მოხდა.

ქართველი ჟურნალისტების შეფასებით, ამ დროშის ტრიბუნებზე გამოტანა არასწორია, რადგან ის პროვოკაციის მიზეზი ხდება.

„დროშას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი საქციელი აღნიშნული დროშის გამოფენა ქართველი გულშემატკივრების მხრიდან“, — აცხადებენ ქართველი ჟურნალისტები, რომლებიც მეზობელთა მატჩს უშუალოდ დაესწრნენ.

როგორც „ჩიხურას“ გულშემატკივრებთან მეკავშირე ოფიცერმა ირაკლი ერაძემ განაცხადა, ფანკლუბის ოფიციალური წევრები აზერბაიჯანში არ წასულან.

„საგულშემატკივროდ წავიდნენ „ქართული სპორტის ქომაგები“ და „ჯვაროსნები“. „ჩიხურას“ მხრიდან წასულები იყვნენ ძირითადად ფეხბურთელების ახლობლები, რომლებიც პროვოკაციაზე არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდნენ. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი ფაქტი მოხდა. რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, რომ ეს დროშა ტრიბუნაზე გამოფინეს“, — აღნიშნა ერაძემ.

„აზერსპორტის“ ცნობით, ჩხუბის მიზეზი „ჩიხურას“ ფანების მიერ სტადიონზე საქართველოს რუკის ჩამოკიდება გახდა, სადაც ზაქათალა და კახი საქართველოს ტერიტორიად იყო აღბეჭდილი. დაკავეს რამდენიმე ქართველი გულშემატკივარი და ჟურნალისტი, რომლებსაც შეხვედრის დასრულების შემდეგ სამართალდამცველებთან კონფლიქტი მოუვიდათ. ისინი მალევე გაათავისუფლეს.

„ჩიხურას“ მთავარი მწვრთნელის სოსო ფრუიძის თქმით, ვინც ეს რუკა გამოფინა, „ჩიხურას“ ნამდვილი გულშემატკივარი არ არის.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ჩემპიონობა მსოფლიოს პირველობის საგზურით

33 ქალ-ვაჟი მონაწილეობდა თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ 20-წლამდელთა საქართველოს პირველობაში. მოასპარეზენი მედლებთან ერთად წლევანდელი მსოფლიოს პირველობის თითო საგზურისთვისაც იბრძოდნენ. გოგონებში წარმატებით ითამაშა ნანი უნაფქოშვილმა. ცხრა შეხვედრიდან მან 7 ქულა მოაგროვა და მეტოქეებისთვის მიუწვდომელი გახდა. უნაფქოშვილმა 20-წლიანებში ეს ტიტული მესამედ მოიპოვა.

ვერცხლისა და ბრინჯაოს მფლობელთა ვინაობა ბოლო ტურმა გაარკვია. დაზავდნენ ანა კუჭავა და ნატო იმნაძე, ლიკა კობეშავიძე და ანი ჩხაიძე, მარიამ ჭოლაძემ და ნინო ჯალაღონიამ კი შავი ფიგურებით თეა ჭოლაძე და დალი ნანეიშვილი დაამარცხეს. საბოლოოდ მარიამ ჭოლაძემ და ანა კუჭავამ 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს და, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ.

ვაჟებში ყველას ირაკლი ბერაძემ აჯობა 7,5 ქულით. 2004 წლიდან საქართველოს ჩემპიონობა სხვადასხვა ასაკში მან მეათედ მოიპოვა. ვერცხლის მედალი 7 ქულით როდამ ქუმსიაშვილს ხვდა, რომელმაც ბოლო ტურში ალექსანდრე ებრალიძე დაამარცხა. ნოდარ ლორთქიფანიძე შავი ფიგურებით შალვა ნადირაშვილს შეუთანხმდა ყაიმზე და 6 ქულით მესამე ადგილზე გავიდა.

ლაშა დიდია

სურათებზე: ნანი უნაფქოშვილი, ირაკლი ბერაძე.

◎ ტყვიის სროლა

პნევმატური პისტოლეტით

ოლიმპიური ჩემპიონის — ნინო სალუქვაძის ტირში დამთავრდა კლუბის ღია პირველობა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. გოგონებში 466.4 ქულით პირველი ადგილი ქუთაისელმა ლიზი კილაძემ დაიკავა. ვერცხლის მედალი 456.9 ქულით თბილისელმა მარიამ ღვინიაშვილმა მოიპოვა. „ბრინჯაოც“ დედაქალაქელ მარიამ მაღრაძეს (456.3) ერგო.

ვაჟებში საპრიზო ადგილებზე მხოლოდ თბილისელები გავიდნენ. 673.6 ქულით ყველას ოლიმპიური ჩემპიონის — ნინო სალუქვაძის შვილმა ცოტნე მაჭავარიანმა აჯობა. მეორე ადგილი ლევან ქადაგიძემ (658.2) დაიკავა. 655.8 ქულით მესამეზე მიხეილ სანიკიძე გავიდა.

ვაჟა ნოსირელი

◎ ძიუდო

ასეულებში 12 ქართველია

პირველი აგვისტოსთვის ფიდემ გამოაქვეყნა მოჭადრაკეთა განახლებული რეიტინგები. გაგაცნობთ საუკეთესო ათეულებისა და ქართველთა მაჩვენებლებს:

ქალები. 1. იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2676), 2. ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2661), 3. ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2598), 4. ძიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2559), 5. ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2555), 6. ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2550), 7. კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2540), 8. ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2531), 9. მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2530), 10. ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2525). 18. ბელა ხოტენაშვილი (2494), 27. ლელა ჯავახიშვილი (2478), 28. სალომე მელია (2475), 35. ნინო ხურციძე (2467), 48. ნინო ბაციაშვილი (2435), 59. მერი არაბიძე (2411), 74. სოფიკო გურამიშვილი (2393), 86. თამარ წერეთელი (2375), 94. მაია ლომინეიშვილი (2366) 98. სოფიო გვეტაძე (2361).

ვაჟები. 1. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2877), 2. ლევონ არონიანი (სომხეთი, 2805), 3. ფაბიანო კარუანა (იტალია, 2803), 4. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2795), 5. ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2787), 6. სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2786), 7. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2785), 8. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2772), 9. მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2768), 10. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2760). 35. ბაადურ ჯობავა (2713).

გივი გაგუა

რეპეტიცია ბერლინში

19-21 სექტემბერს ბუქარესტში ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობა გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს ნაკრები გია გუგავას (ვაჟები) და გია თენაძის (გოგონები) ხელმძღვანელობით. შეგირდების მზადყოფნის შესამოწმებლად მათ გუნდები ბერლინში წაიყვანეს, სადაც დამდეგ შაბათ-კვირას საერთაშორისო ტურნირი მოეწყობა.

ბიჭებში მედლებისთვის იბრძოლებენ თორნიკე ნაგლიაშვილი, ილია შუბითიძე (ორივე — 55), გელა ლიპარტელიანი, ივანე ჯავახიშვილი (60), გიორგი გუგულაშვილი, ბექა ვიბლიანი, გელა კელიხაშვილი, ბექა შავდათუაშვილი (ოთხივე — 66), კობა მჭედლიშვილი, ომარ ნიაზაშვილი, აპოლონ ზურაბიანი (სამივე — 73), ლევან გუგავა (81), ნოდარ ბერიანიძე (90), ჯაბა მუმლაძე (100), გიგა გელაშვილი, გუგა კიბორძალიძე (+100). გოგონებში კი ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას ოლია ალადოშვილი (44), მზია ბებოშვილი, მარიამ ჯანაშვილი, მარიამ მახარაშვილი (სამივე — 52), სალომე აბაშიძე, მარიამ ციხელაშვილი (ორივე — 57) და ელენე ქებაძე (+78) დაიცავენ.

ლექსო ცინცაძე

◎ პრემიერის საპარლამენტო ხუმრობები

ჰაკიმ ფაშამ „დანაშაული“ აღიარა!..

მრავალმხრივ საინტერესო გამოდგა მინისტრთა კაბინეტის წევრების ამასწინანდელი შეხვედრა პარლამენტში დეპუტატებთან, სადაც ისინი ხელახლა ნდობის გამოცხადების მიზნით, მორიგი ანგარიშით წარსდგნენ. ამ შეხვედრას განსაკუთრებით სულის კაწკაწით ელოდნენ საპარლამენტო უმცირესობის წევრები, ეგრეთ წოდებული „მეცოცხეები“, რომლებმაც სტუმრებს შეკითხვები მათთვის ჩეული დემაგოგიური აღმაფრენით სეტყვასავით დააყარეს.

ნაცები განსაკუთრებით გაახარა შინაგან საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის გამოჩენამ, რომელსაც რამდენიმეთვიანი ლოდინის შემდგე, როგორც იქნა „რქებით“ პირდაპირ შაებნენ. მას ბრალი დასდეს ხელისუფლების მიერ კრიმინალური ავტორიტეტების, კანონიერ ქურდებად წოდებულ დამნაშავეთა მფარველობაში. მინისტრს კანონიერი ქურდების შემოყვანასა და ხელშეწყობასთან დაკავშირებით შეკითხვა დაუსვა დემაგოგიური პიარის ცნობილმა ოსტატმა გოკა გაბაშვილმა. ის ასევე დაინტერესდა, გაზეთ „პრაიმ-ტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ჭიკაიძემ რა მტკიცებულებებზე დაყდრდნობით დაადანაშაულა ნაცმოძი ე. წ. „ევრომაიდნის“ მოწყობის მცდელობაში. მინისტრის მტკიცებით, ნაცებს ამისთვის თურმე საბურავებიც კი ჰქონდათ მომარაგებული.

— „ამის მტკიცებულებები არსებობს, იმ პერიოდში საქართველოში საბურავები ერთიორად გაძვირდა“! — მოსწრებულად იხუმრა ირაკლი ღარიბაშვილმა. იმ დღისით პრემიერი საერთოდ მოწოდების სიმაღლეზე იყო და ნაცების თუთიყუშივით დაზეპირებულ შეკითხვა-ბრალდებებს ლაღი კახური იუმორით იგერიებდა.

დეპუტატი ირმა ნადირაშვილი, რომელიც მეოცნებეთა დასაგესლად მუდამ გიურზასავით ჩასაფრებულია, ამჯერად გახმაურებული საქმეების გამოძიების მიმდინარეობით დაინტერესდა. მან კონკრეტული დანაშაულის ფაქტები ჩამოთვალა, რომელთა გამოძიებას ხელისუფლება სპეციალურად აჭიანურებს. აი თუნდაც „ჯიჰადის“ ვიდეოები, — თქვა მან, — ჩოკუტაევის ვერსია იმდენად არასერიოზულად მიგაჩნიათ, რომ მისი დედაც კი არ დაგიკითხავთ. ან თუნდაც ჰაკიმ ფაშას ვიდეოები ავიღოთ. როგორ ფიქრობთ, ვინ მოიპარა ეს მასალები გამოძიებიდან და ვინ ატვირთა? — მრავალმნიშვნელოვნად მიმართა ნადირაშვილმა ალექსანდრე ჭიკაიძეს.

— „ვინ ატვირთა და მე ავტვირთე, განა ეს არ იცით, ქალბატონო ირმა?!“ — გამოტყდა „დანაშაულში“ ნაცების მიერ ჰაკიმ ფაშად მონათლული პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. პრემიერის„ გულწრფელმა აღიარებამ“ სიხარულის ღიმილად გადაურბინა სიმართლისთვის მებრძოლ დეპუტატს.

— მადლობთ, რომ დამიდასტურეთ, იმედია, ამის მერე მაინც აღარ გამომედავებიან უმრავლესობის წევრები, როცა თქვენ დამსახურებულად ჰაკიმ ფაშას გიწოდებთ, — კმაყოფილება ვერ დამალა ნადირაშვილმა.

როგორ ფიქრობთ, ასეთ პრესტიჟულ სჯა-ბაასს მარად ენაწყლიანი ჩიორა თაქთაქიშვილი გამოაკლდებოდა? მან, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დაადანაშაულა კოალიციური ხელისუფლება ნაცების მიერ დაწყებული რეფორმატორული და დემოკრატიული აღმშენებლობის ჩავარდნაში, ეკონომიკის მოშლასა და უმუშევრობის ზრდაში, პუტინის რუსეთის მიმართ ივანიშვილისეული მონური პოლიტიკის განხორციელებაში. რას იტყვით ყოველივე ამის თაობაზე ბატონო პრემიერო? — იკითხა ქვეყნის სვებედზე დამწუხრებულმა თაქთაქიშვილმა.

— „ივანიშვილმა მოკითხვა შემოგითვალათ, ქალბატონო ჩიორა!“ — იყო მოკლე, მაგრამ „ძნელად მისახვედრი“ პასუხი პრემიერისა ნაცებისთვის. ჩიორას წინასწარ შემზადებული ღიმილი უმალ ტუჩებზე შეაშრა, დარბაზს კი მხიარულმა ფხუკუნმა გადაუარა. ვერაფერს იტყვი, ჩიტნისკარტა დეპუტატს იუმორის ისარი ზუსტად იქ მოხვდა, სადაც უნდა მოხვედროდა(!).

თუმცა, პრემიერს ენამზეობით გამორჩეული ჩიორას გაცუცურაკება არ აპატია იმავე საპარლამენტო უმცირესობის გამორჩეულმა რაინდმა გივი თარგამაძემ და საკუთარი ენის შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად ქვეყნის მთავრობის თავკაცს „მძიმე დარტყმები“ მიაყენა:

— თქვენ ხომ იცით, რითი მოხვედით ამ ხელისუფლებაში? — შეახსენა ბატონმა გივიმ ბატონ ირაკლის, — აი, მთელი ციხე რომ ყვიროდა, ბიძო არის ჩვენი და ბიძოს დროაო, აი, ამით მოხვედით. ამით თქვენ გაეცით იქ იმხელა კრედიტი, რომელსაც ვერ მოერევით. ახლა ისეთი სიტუაციაა ციხეებში, ერთი ბუნტი თუ დაიწყო, მერე ამას ვერაფერი ჩააქრობს. ამასთან დაკავშირებით, მან კანონიერი ქურდები გაიხსენა და მათ თავისუფალ გადაადგილებასა და მაყურებლების გამოყენებით ციხეების კონტროლზე გაამახვილა ყურადღება.

— „თქვენ ქურდი ხართ, ბატონო გივი? ალბათ ამიტომაც კარგად ერკვევით ქურდულ ცხოვრებაში, — შეუტრიალა საქმე პრემიერმა თარგამაძეს. მე მგონი, თქვენ ხართ ქურდი. წარსულ ცხოვრებაში, ყოველ შემთხვევაში, ცნობილი ფაქტია, თქვენ იყავით და ხართ კანონიერი ქურდების მეგობარი თუნდაც უკრაინაში, სადაც აპირებდით არჩევნების ჩატარებას კანონიერი ქურდების დახმარებით და ახლაც გაქვთ სერიოზული მეგობრობა კანონიერ ქურდებთან“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამის შემდეგ დეპუტატმა თარგამაძემ ისედაც დაბლოკილი ენა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ღრმად ჩაიგდო მუცელში, მაგრამ სამაგიეროდ ლაპარაკის „იშტაზე“ მოვიდა პარლამენტის საქვეყნოდ ცნობილი ოხუნჯი გოგა ხაჩიძე:

— ბატონო ირაკლი, თქვენგან ველოდები პასუხს: ზურაბ ჯაფარიძემ აქ დაასახელა კონკრეტული ციფრები, რასაც თქვენ დემაგოგია უწოდეთ. ამ სხდომას ესწრებიან თქვენი ეკონომიკური და ფინანსური გუნდები, თუ ისინი დაასაბუთებენ, რომ ეს ციფრები არის მცდარი, მაშინ მე საჯაროდ ვაცხადებ, მზად ვარ, დავტოვო დეპუტატის მანდატი და წავიდე პოლიტიკიდან. მაგრამ თუ ეს ციფრები დადასტურდება, მაშინ ნოდარ ხადური გყავდეთ მინისტრად, სანამ თქვენ იქნებით პრემიერი, — მიმართა პიემიერს გოგა ხაჩიძემ.

— „ჩვენ ამას არ დავუშვებთ“, — თქვა ირონიულად ირაკლი ღარიბაშვილმა. მერე იქვე დაუმატა, რომ **„კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე და ზურაბ ჯაფარიძე სხვადასხვა ციფრებს ასახელებენ. იქნებ ჩამოყალიბდეთ, თორემ თუ მაგ პირობას გავყვებით, აღარც ერთი არ დარჩებით პარლამენტში“.**

ისე, კაცმა რომ თქვას, „მეცოცხეები“ ან აქამდე რა დასარჩენები იყვნენ? ელაპარაკეთ და ჭკუა არიგეთ რამდენიც გინდათ, მაგათ ტვინსა და ცნობიერებაში არაფერი შევა. უნამუსოს თავზე აფსამდნენ და რა კარგი წვიმა მოდისო, — ზუსტად მაგათზეა ნათქვამი. თქვენი არ ვიცი და მე პირადად მომეწონა, ღარიბაშვილმა ამ შეხვედრაში მაგათი დემაგოგია იუმორით რომ ჩაანაცვლა. კარგა ხანია ხალხს ყელში ამოუვიდა ნაცების ცრუ ქაქანი და უნამუსობა. ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი, მათ შროის ნაცების „მჭევრმეტყველურ“ დემაგოგიასაც.

ოთარ ხუციშვილი

◎ ჭკუისმასწავლებელთა ჭკუისსასწავლებლად

სისხლის მსმელი „შუქურა“

მაკკეინის საკმეველი

მიხომ „ნაცებს“ „აკვლევინა“
და ბევრი მოაკვლევინა,
ამაყობდა „ცოცხებით“ და
სხვისთვის ჭუჭყის მოცხებითა;
მისთვის მაინც აკმევინა
საკმეველი მაკკეინმა.

მესიჯები

„ცოცხოსნებო“, გიცნობთ, ვინც ხართ,
მიხო ბიჭის ეჯიბები,
დამათხოვრობთ და გულს იფხანთ,
ერთმანეთს რომ ეჯიბრებით,
ხან „სახალხო პარტიის“,
და ხან სენატორთ „მესიჯებით“...
მაინც მრჩება ერთი კითხვა:
— ავლიპს როდის ესინჯებით?

არამკითხე ოთხეული

მაკკეინო, ბენ კარდინო, ჯინ შაჰინო, ჯიმ რიში,
რაკი იცავთ ექსპრეზიდენტს, ამ ნიშნით თუ იმ ნიშნით,
სათითაოდ შეგახსენებთ და შეიგნოთ, იქნება,
მომავალი უწარსულოდ რომ არასდროს იქმნება!

რატომ გვინდა გასამართლდეს, ვის სინდისზეც შავად ძევს,
რომ მოგვიკლეს რობაქიძე, გირგვლიანი, შარაძე?
ვინც ეჩოსებრ მიითლიდა, სხვას აგდებდა არც არად,
დაამშია საქართველო და ხალხისგან დაცალა!

შეგახსენებთ 7 ნოემბერს და 26 მაისსა,
იმედები რომ დახვრიტა, გლოვის ხმა რომ გაისმა.
გაგახსენებთ, ვინ სად მოკლა, ვინ აწამა „ცოცხებით“,
რა გზასა ვართ გამოვლილი, ვინც გადავრჩით ცოცხლები.

თავს შუქურად გაჩვენებდათ, დემოკრატულ შუქურად,
ინგლისურად მოტლიკინე ბიჭი ბაქი-ბუქურა.
მან წაართვა პრესას ჭერი, მაგრამ არვინ იძიებთ,
რად სწყალობდა „რუსთავ-2“-ს და „ჯიბის ტელევიზიებს“

რად გამართა ტაშფანდური, რად მიმართა აჯოს და
ისრაელის ექვსდღიან ომს ერთი დღით რომ „აჯობა“, —
ვინც ცხინვალში აპირებდა აღლუმსა და ღრეობას,
ღალატით რად ჩააბარა რუსებს დალის ხეობა.

ნუთუ აღარ გაღელვებთ და უჩვეულოს ეჩვევით,
ლაფანყურში შეტყუებით რომ დახოცა ჩეჩნები?
„არა, აღარ იმალება და ბავშვებმაც იციან,
რითი იყო ამაზრზენი მიხოს ინკვიზიცია“.

მაკკეინო, ბენ კარდინო, ჯინ შაჰინო, ჯიმ რიში,
რადგან მოგწონთ დიქტატორი, მიხო როა, იმ ჯიშის,
ჩვენ არ გვსურს და, დაე, აწი მხოლოდ მტერმა უყურა,
ჩვენებურად სისხლის მსმელს და
თქვენებურად — „შუქურას“!

ალექსანდრე შენგელია
ქუთაისი-თბილისი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ეს რა შესანიშნავი წერა ცოდნია. ცოტა ადრე უნდა ჩაესვათ. რამდენი ბრწყინვალე ნაწარმოები დავკარგეთ.

● ბრეივიკს მოუთხოვია ნანუკასთან შოუში ჩაწერა...

(აუ, აბა მაგის წერილი იქნება, ცხარე ცრემლით რო აატირებს პლანეტას).

მივმართავ საქართველოს პროკურატურას, დარწმუნებული ვარ, რომ ნაციონალური მოძრაობის სხვა წევრებსაც აქვთ ლიტერატურული ნიჭი. ნუ დაუკარგავთ სამშობლოს მათ შედევრებს!

● ვანოს უთქვამს ჩემს წერილებს მე თვითონ წავიკითხავ, სხვებს დიქცია არ უვარგათო!

● „ბევრი ადამიანი გავაუბედურე“ — ამაზე თვალები ამიწყლიანდა.

„მეუბნებოდნენ რომ ყველაფერი კარგად იყო და მეც მჯეროდა“ — ამაზე პირველი ცრემლი ჩამოგორდა.

„ხილი აღარ მომიტანოთ, მაცივარი არ მაქვს“ — აქ მოვკვდი.

„დამტოვეთ ჩემ თბილისთან მარტო“ — ყელში ბურთი, აუ მურაშკი პო წელუ.

„წერილი შვილს“.... აი აქ ვიღრიალე! ხმით ვტიროდი, ხმით!

● ზურაბ აბაშიძისა არ იყოს, გიგლა აგულაშვილიც მომზადებული შეხვედრია რუსეთის მხრიდან თავისუფალი ვაჭრობის შეჩერებას.

ვისთან ემზადებოდნენ ნეტავ?

● სოფლის შენებას რა უნდა?

ალასანია და მაკკეინი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვას შემოგვაქსოვენ, მასხარაშვილი და თორთლაძე ქართულ დროშას ააფრიალებენ კრემლის თავზე, ბარონესა ეშტონი ევროპულად შემოგვღიმებს და სოფელიც აშენდება...

● ვხედავ პროკურატურის პირველივე დაძახილზე რა ენთუზიაზმით, მოჰქრის მიხეილი და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ გიგი არსად გაქცევას არ აპირებდა.

● წერილი თუ სიხარულიო?

წერილიო...

რომელი იზოლატორიდანო?

მატროსოვიდანო.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ სულით ძლიერნი

წინასწარმეტყველი ილია თეზბიტელი, ილიობა (ჭავჭავაძე) ანგელოზის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა

დღეს, 2 აგვისტოს ილია თეზბიტელის ხსენების დღესასწაულია.

„დადგა ჟამი და უფალს წმინდა ილია წინასწარმეტყველი ცოცხლად უნდა აღეტაცებინა ზეცად. ცეცხლოვანი ეტლის გაელვებისთანავე გამოჩნდნენ ცეცხლოვანი რაშები და აღიტაცეს წმინდა ილია ზეცად. უფალმა უთხრა: „შენ პატიოსნების მკაცრი მსაჯული ხარ, კაცთა მოდგმა კი განუწყვეტლივ ცოდავს. ესღა დამრჩენია განგაშოროთ ერთმანეთს, თუ კიდევ დარჩები მათთან, შენგან მოწეული სასჯელით კაცთა მოდგმა ამოწყდება. მე შენ დაგასახლებ ზეცაში უცოდველთა, ანგელოზთა გვერდით. ხოლო ცოდვილებთან მე დავრჩები. მე შემიძლია ვიტვირთო მხართა ზედა ჩემი დაკარგული ცხოვარი, ყოველი ცოდვილი“.

ელისეს დაეცა ხალენი, რომელიც ილიამ ჩამოაგდო ზეციდან.

ასე აიტაცა უფალმა ილია და დღესაც ხორციელად ცოცხალია. იგი იხილეს თაბორის მთაზე მოციქულებმა წმინდა მოსესთან ერთად, უფლის ფერისცვალებისას, და მას იხილავენ მორწუნენი ბოლო ჟამს, როცა ის წმინდა ენუქთან ერთად მოევლინება ცოდვილ ქვეყანას. ამხელენ გამეფებულ ანტიქრისტეს. მისი ხელით შესვამენ სიკვდილის ფიალას. მე-3 დღეს აღადგენს მათ უფალი მკვდრეთით და სულ ცოტა ხანში თავად მოვა დიდებით და განიკითხავს დაბადებულს.

* * *



2 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ილია მართლის (ჭავჭავაძე) ხსენებას. საისტორიო წყაროებში ჭავჭაძეების გვარი მოიხსენიება XV საუკუნიდან. ასეთი გვარის წარმომადგენელია საქართველოს, „უგვირგვინო მეფე“, „ერის მამა“ წმინდა ილია მართალი.

...ილია მართალს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ერის გამოღვიძება, მართალი სიტყვის თქმა, მწარე მხილება, ერად სახსენებელი არ არის ის, რომელსაც თავისი ისტორია არ ახსოვს.

ამიტომაც ახსენებდა იგი თანამემამულეებს წარსულ დიდებას, ქართველთა თავდადებას რწმენისა და მამულის დასაცავად.

დიდი ქართველი მოღვაწე, ზრუნავდა ენის სიწმინდისათვის, იბრძოდა ენის უფლებების დასაცავად სკოლებში. ილია იყო ერთ-ერთი ინიციატორი, ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსებისა. ჯერ კიდავ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში წმინდანმა ილია მართალმა განაცხადა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება...

დიდი ილია უშიშრად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის.

...თეზბიტელობას განსაკუთრებული ელფერი XIX საუკუნის ბოლოს მიეცა, როცა ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. ყოველი წლის 2 აგვისტოს, თავისი მფარველი წმინდანის, ილია წინასწარმეტყველის სახელობის დღეს, ილია საგურამოში დიდ სახალხო დღესასწაულს — ილიაობას მართავდა.

ილია მეორეს ვულოცავთ ანგელოზის დღეს

...სისხლხორცო ჩემო
კვლავ დაგიდგა მრუმე ამინდი!
— ო,
თითქოს გუშინ, წიწამურთან დახვდნენ ილიას!..
— გვყავს ჭყონდიდელი, დღესდღეობით,
მაგრამ დავითი???
დავითი არ გვყავს —
— და მამულიც ხელგაწვდილია!

...ვინ ცრემლს აგროვებს,
ვინ მარგალიტს
და ვინ ბრილიანტს!..
— გათენდება და
მადლი მაინც გადმოვა ციდან!
ვდიოთ მაცხოვარს, რუდუნებით,
და ორ ილიას!
— ერთს ხატზე წერილს,
მეორეს კი —
ჩვენს ცოცხალ წმინდანს!

რეზო ამაშუკელი

საქართველო ჭრაღიციული მედიცინის სამშობლოა

ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

„ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია **„ფერდის“ და „სალხინოს“** ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება **„ფერდის“ და „სალხინოს“** კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში — 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

„ფერდი“ და „სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები თანაგრძნობას უცხადებენ ვეტერანთა მოძრაობის ღვაწლმოსილ მუშაკს, ბატონ ბიძინა კარტოზიას მეუღლის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ლიუდმილას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **მისტერ** პუტინ, ევროკავშირმა სანქციების მორიგი პაკეტი შემოიღო თქვენს წინააღმდეგ. რას აპირებს რუსეთი?

— ლოდინს.

— მაგრამ რას ელოდებით, მისტერ პუტინ?

— ზამთარს და ყინვას...

* * *

— **მიკროტალღოვანი** ღუმელი მუშაობს?

— როგორც საათი.

— მაგრამ სულაც რომ არ ათბობს?

— ხომ გითხარით, საათივით მუშაობს-მეთქი...

* * *

საუბრობენ პესიმისტი და ოპტიმისტი.

— ეშმაკმა დალახვროს! რა საოცარი სისწრაფით მიქრიან დღეები! უკან მოხედვას ვერც მოასწრებ, რომ ეს თვეც გაფრინდება! — ამბობს პესიმისტი.

— დიახ, და ახალი ხელფასის აღების დროც დადგება! — უხარია ოპტიმისტს.

* * *

მეფის მასხარამ ბლოკნოტი გადაშალა და შიგ რაღაც ჩაწერა.

— რას წერ მაქ? — შეეკითხა მეფე.

— ვიწერ იმ სულელების სახელებს, ვისაც ვიცნობ. ახლა შენი სახელიც ჩავწერე, რადგან ახლახან ფული მიეცი ყალთაბანდ იუველირს, რომელიც დაგპირდა საზვარგარეთ ძვირფასეულობის შეძენას. იგი არ დაბრუნდება.

— მაგრამ რომ დაბრუნდეს?

— მაშინ შენს სახელს წავშლი და მისას ჩავწერ.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქოგულია
299-62-77;
599 36 00 35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24